დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი
წევრები:
მარიამ კავლელიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ხათუნა თოიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ნანა ნიკოლაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
რუსუდან ნიპარიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ნატო კვეტენაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204571588

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ს. დიღომი, დავით აღმაშენებლის ქ. N 52
საფოსტო ინდექსი	0159
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	http://www.stnino-school.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	st.ninoschool@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	551162211

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	16/03/2026წლის ბრძანება MES 3 26 0000317171
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 21 და 22 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, ს. დიღომი, დავით აღმაშენებლის ქ. N 52 - 1 შენობა ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, ს. დიღომი, დავით აღმაშენებლის ქ. N 52 - 1 შენობა ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალოს საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, ს. დიღომი, დავით აღმაშენებლის ქ. N 52 - 1 შენობა ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 21 და 22 აპრილს. ვიზიტის მიზანი იყო ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტის დროს ადგილზე იმყოფებოდა ორი ექსპერტი, ხოლო საგნობრივი მიმართულების ექსპერტებმა სკოლის შეფასება განახორციელეს დისტანციურად.

ექსპერტების მიერ შეფასდა როგორც სკოლის შიდამარეგულირებელი დოკუმენტაცია, ასევე განხორციელდა მიმდინარე პროცესების ანალიზი. კერძოდ, შეფასდა სკოლის ფილოსოფია, დაგეგმვისა და განვითარების მიმართულებები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა, მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემები და სამივე საფეხურზე კურიკულუმების შემუშავების, დანერგვისა და მონიტორინგის მექანიზმები.

ვიზიტი წარიმართა მშვიდ და ორგანიზებულ გარემოში. სკოლამ ითანამშრომლა ექსპერტებთან, იყო კეთილგანწყობილი და მზადყოფნას გამოხატავდა პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის. ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია მოწოდებულ იქნა დროულად და სრულყოფილად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
360	270	*400*

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 400	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	10/05/2026-15/09/2026 წ. პერიოდში სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი კადრის დასაქმება. (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (10/05/2026-10/05/2027წ.) სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასებით გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისი პროფესიული განვითარების გეგმა და უზრუნველყოს მისი განხორციელება
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	10/05/2026-15/09/2026 წ. პერიოდში სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი კადრის დასაქმება. (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერა)

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N1.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სასურველია პროცესის უწყვეტობის მიზნით 7 წლიანი სტრატეგიის შესრულების ბოლო ანგარიში სკოლამ განახორციელოს არა 7 წლის გასვლის შემდეგ არამედ სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე გონივრული ვადით ადრე.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.6.	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი	სასურველია სკოლამ ცალკე დოკუმენტად მოახდინოს არსებული პრაქტიკის ფორმალიზება, რათა უზრუნველყოს პროცესის თანმიმდევრული დაგეგმვა, მონიტორინგი და განვითარება.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი/საბაზო/საშუალო)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში შენარჩუნებული იყოს ერთიანი კურიკულუმის ჩარჩო, რაც ხაზს გაუსვამდა თანამშრომლობით მუშაობას კათედრაზე. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია სავალდებულო თემების დასახელებები შესაბამისობაში იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ სავალდებულო თემებთან. ნაწილობრივი დასახელებებია მოცემული. ასევე სამიზნე ცნებების ველში ზოგგან დაემატოს ქვეცნებებიც. თქვენს მიერ გაზიარებულ მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმში ორი საგანი გაქვთ გაერთიანებულად წარმოდგენილი: ისტორია და საქართველოს ისტორია. გაყავით ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმები და ისე წარმოადგინეთ.

ინდიკატორი *N2.1.2.2.*	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია თითოეულ თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება შეძლებისდაგვარად. **ესთეთიკური აღზრდა** სასურველია, კათედრამ დაწყებითი და საბაზო საფეხურზე, კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაამატოს თემატური ბლოკების სახელწოდებები: **დაწყებით საფეხურზე**-მე და გარესამყარო; ადამიანები და ხელოვნება; ხელოვნება ჩვენ გარშემო. **საბაზო საფეხურზე**-გარემო და ხელოვნება; ადამიანი ხელოვნებაში; საზოგადოება და ხელოვნება . **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** ბუნებისმეტყველების მე-3 და მე-4 კლასის და 1-4 კლასის მათემატიკის კურიკულუმებში დამუშავდეს სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და ცნებები.
ინდიკატორი *N2.1.2.3*	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია ლაბორატორია შეივსოს ახალი რეაქტივებით და სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისთვის საჭირო რესურსებით. სასურველია სასწავლო წლის დასაწყისში საბუნებისმეტყველო კათედრამ შექმნას დამატებითი სასწავლო რესურსების ნუსხა კლასების და თემების მიხედვით რომელიც იქნება დამტკიცებული კათედრის სხდომაზე სავალდებულო (სახელმძღვანელოები) რესურსებთან ერთად. **სპორტი**

		სასურველია 1-4 კლასებში სასწავლო პროცესი წარიმართოს 2023 წელს გამოშვებული გრიფირებული სახელმძღვანელობით.
ინდიკატორი *N2.1.2.5*	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, უფრო მეტად გამახვილდეს ყურადღება თემა/საკითხსა და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების შექმნაზე, განსაკუთრებით, ეს ეხება შემაჯამებელი დავალებების შეფასების სისტემას. ასევე, სასურველია, შემაჯამებელი დავალებების შერჩევისას მეტად მოხდეს თემატური კონტექსტების გათვალისწინება. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება. ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც. სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს.
ინდიკატორი *N2.2.1.1.*	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული რეალური და დაძლევადი, ყოველივე ეს გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.

ინდიკატორი *N2.2.1.3.*	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.** კარგი იქნება თუ შეფასების სისტემის ვალიდურობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებენ უფრო კონკრეტულ, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს.ასევე სასურველია შემუშავდეს შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის გაცნობის მექანიზმი. მოსწავლეებს წინასწარ მიაწოდონ დავალების პირობა, მიზანი და შეფასების კრიტერიუმები. კათედრის წევრებმა მოლოდინების შესაბამისად გააანალიზონ მოსწავლეთა ნამუშევრები შუალედურ მიზნებთან მიმართებით და მიაწოდონ უკუკავშირი კათედრაზე შეთანხმებული ფორმითა და ფორმატით.
ინდიკატორი *N2.2.2.3*	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია ლაბორატორია შეივსოს ახალი რეაქტივებით და სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისთვის საჭირო რესურსებით.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დასკვნის პროექტში ასახულ ექსპერტთა მიგნებებთან დაკავშირებით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლურმა სკოლამ 15.05.2026 წლის N28 წერილით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, წარმოადგინა

არგუმენტირებული წერილობითი პოზიცია რომელიც სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 18/05/2026 წლის MES 9 26 0000584072 წერილით ექსპერტთა ჯგუფს გადაეცა განსახილველად. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია 3.1.2.4, 3.2.1.2 და 2.2.2.4 ინდიკატორებთან მიმართებით და ინდიკატორების შეფასება „არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას“ შესაბამისად შეიცვალა კომპონენტების 3.1, 3.2 და 2.2. შეფასებაც.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მისია მიმართულია მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების უზრუნველყოფისკენ და მოიცავს მაღალი აკადემიური შედეგების მიღწევის, ძირითადი უნარებისა და ღირებულებების განვითარებისა და ეროვნული იდენტობის გააზრების ხელშეწყობას და მოსწავლეთა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მხარდაჭერას. სკოლის ხედვა თანმიმდევრულად აგრძელებს მისიით განსაზღვრულ მიმართულებებს და მიზნად ისახავს საკვანძო კომპეტენციების: ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ადაპტაციის და თვითგამორკვევის უნარის გამომუშავებას. აღნიშნული კომპეტენციები სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და პასუხობს თანამედროვე, დინამიკურ გარემოში მოქალაქის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

წარმოდგენილი მისია და ხედვა განსაზღვრავს სკოლის როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. მისია ორიენტირებულია მოსწავლეებისთვის მაღალი აკადემიური განათლების უზრუნველყოფასა და ისეთი უნარებისა და ღირებულებების განვითარებაზე, რომლებიც ხელს უწყობს მათ პიროვნულ

ზრდას, პასუხისმგებლობის გააზრებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას. ქართული კულტურის, ტრადიციებისა და ღირებულებების გააზრება, ასევე სპორტული და შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა აძლიერებს სკოლის სოციო-კულტურულ ფუნქციას. ხედვა განსაზღვრავს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობა, მრავალმხრივი განვითარება და ადაპტაციის უნარი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ეფექტიან ფუნქციონირებას უსაფრთხო, მხარდამჭერ და დინამიკურ გარემოში. ამრიგად, მისია და ხედვა ერთობლივად განსაზღვრავს სკოლას, როგორც უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. პროცესის მართვის მიზნით სკოლამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოიცავდა ადმინისტრაციის, მშობლებისა და მოსწავლეების წარმომადგენლებს. სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგებით და შეიმუშავა ფილოსოფიის სამუშაო ვერსია (სამუშაო ჯგუფის ოქმი N1, 2023 წლის 23 ივნისი), რომელიც გაუზიარდა სასკოლო საზოგადოებას. 2023 წლის 29 აგვისტოს სამუშაო ჯგუფმა განიხილა სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირი და მისი გათვალისწინებით შეიმუშავა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვერსია (სამუშაო ჯგუფის ოქმი N2). ზემოაღნიშნული პროცესი ადასტურებს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ჩამოყალიბებულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობის საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების სამუშაო ვერსია გაუზიარა სასკოლო საზოგადოებას და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შეიმუშავა ფილოსოფიის საბოლოო ვერსია. აღნიშნული პროცესი ადასტურებს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია და მიღებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს „სკოლა“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის N1 და N2 ოქმები;
- სკოლის ვებგვერდი https://stnino-school.ge/index;
- ბრძანება სN7 (03/06/2023 წ) მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული და სკოლის აღმასრულებელი დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის სN71 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესს და მკაფიოდ აღწერს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიულ

დაგეგმვაზე მუშაობს დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პედაგოგები, მოსწავლე და მშობელი. სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების შემუშავებასა და მათი აღმასრულებელი დირექტორისთვის წარდგენას, დირექტორის მიერ მიზნების შეთანხმების შემთხვევაში გრძელდება მუშაობა სტრატეგიული გეგმის პროექტზე. მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას. კერძოდ, მოსწავლეები და მშობლები აქტიურად მონაწილეობენ პროცესში, გამოხატავენ საკუთარ პოზიციებსა და ინტერესებს და წარადგენენ რეკომენდაციებს, რომლებიც სამუშაო ჯგუფის მიერ განიხილება და საჭიროების შემთხვევაში აისახება საბოლოო დოკუმენტებში. მეთოდოლოგიის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, პროცესში შესაძლებელია გარეშე დაინტერესებული პირების ჩართვაც. სკოლის პრიორიტეტებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, სამუშაო ჯგუფი ახორციელებს ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას სკოლის პერსონალის, მოსწავლეების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან. გამოიყენება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის მეთოდები (გამოკითხვა, ინტერვიუ და სხვა), რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებას მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პროცესში სამუშაო ჯგუფი ინარჩუნებს აქტიურ კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან, ითვალისწინებს მათ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს მათ ასახვას სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი და მოიცავს 2023-2030 წწ პერიოდს. მეთოდოლოგიის მიხედვით 7 წლიან პერიოდში იგეგმება კონკრეტული აქტივობები და 7 წლის შემდეგ იწყება ახალი ციკლი, პროცესების ათვლა ხდება თავიდან, რაც ადასტურებს სტრატეგიული გეგმის ციკლურობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის ანალიზით დადასტურდა, რომ ის ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფიელბულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას. იგი მოიცავს სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც დეტალურად არის ჩაშლილი კონკრეტულ აქტივობებად. ამასთანავე, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს წინა წლის ერთწლიანი გეგმის შეფასების შედეგებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას.

ინდიკატორის მითხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის სამოქმედო გეგმა სტრუქტურირებულია, ასახავს სტრატეგიული განვითარების მიზნებს და ამოცანებს და თითოეულ ამოცანას უკავშირებს კონკრეტულ, პრაქტიკულად განსახორციელებელ აქტივობებს. დაგეგმვის პროცესში განსაზღვრულია შედეგების შეფასების მკაფიო მტკიცებულებები/ინდიკატორები. აქტივობის შესრულების ვადები გაწერილია რეალისტურად და შეესაბამება როგორც აქტივობების მოცულობას, ასევე სკოლის შესაძლებლობებს. აქტივობებზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. ამასთან, წინასწარ არის გაანალიზებული საჭირო რესურსები და მათი მობილიზების შესაძლებლობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების სისტემურ კონტროლს. მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტიანია განხორციელებული სტრატეგია. მონიტორინგის პროცესში სკოლა იყენებს ანგარიშგების სისტემას, რომლის ფარგლებშიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარადგენენ ანგარიშებს შესრულებული საქმიანობის შესახებ. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. მისი ორგანიზებით იმართება გაერთიანებული შეხვედრები, რომელსაც ესწრებიან გეგმების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და განიხილება მიღწეული შედეგები და არსებული გამოწვევები.

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება სამ ეტაპად: პირველი ანგარიში უნდა შემუშავდეს 5 სემესტრის შემდეგ, მეორე -10 სემესტრის შემდეგ, ხოლო საბოლოო ანგარიში - 7-წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ. **სკოლას მიეცა რჩევა, სასურველია პროცესის უწყვეტობის მიზნით 7 წლიანი სტრატეგიის შესრულების ბოლო ანგარიში სკოლამ განახორციელოს არა 7 წლის გასვლის შემდეგ არამედ სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე გონივრული ვადით ადრე.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმები, რომლებიც ადასტურებს, რომ სტრატეგიული გეგმის შეფასება განხორციელდა ხუთი სემესტრის გასვლის შემდეგ, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეფასება პირველი სემესტრის დასრულების შემდეგ. შეფასების პროცესი ეფუძნება როგორც პასუხისმგებელი პირების ანგარიშებს, ასევე სასკოლო საზოგადოებაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებას.

ინდიკატორის მოთხოვნ დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე რითაც უზრუნველყოფილია მათი საჯაროობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შეფასების პროცესში ხდება როგორც წარმატებით განხორციელებული აქტივობების, ასევე შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობების იდენტიფიცირება. შეფასების შედეგად გამოვლენილი გარემოებები ანალიზდება და გამოიყენება შემდგომი დაგეგმვისთვის: წარმატებული პრაქტიკები ნარჩუნდება და ფართოვდება, ხოლო შეუსრულებელი აქტივობები გადაისინჯება, კონკრეტდება და იგეგმება მომდევნო პერიოდში განხორციელებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის N1/30 ბრძანება სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის 2026 წლის 12 იანვრის ოქმი N1;
- სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი) გამოკითხვის მასალები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ანგარიშები;
- სკოლის ვებგვერდი https://stnino-school.ge/index

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

2025 წლის 6 ოქტომბრის N1/61 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით სკოლის დირექცია მოიცავს დირექტორს, აღმასრულებელ დირექტორს და აღმასრულებელი დირექტორის ორ მოადგილეს დაწყებითი და საბაზო-საშუალო საფეხურზე. ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს წარმოადგენენ: ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სოციალური მედიის

მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, იურისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და PR მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, ორი ფსიქოლოგი, მზარეული და მისი დამხმარე, ორი დამლაგებელი, ორი დარაჯი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. აკადემიური პერსონალი შედგება 41 მასწავლებლისგან, 1 დამხმარე მასწავლებლისგან და 2 ქოუჩი-კლასის მეთვალყურისგან.

სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები და დისციპლინური კომიტეტი. თითოეული ერთეულის საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებებით.

აღმასრულებელი დირექტორის 2024 წლის 20 იანვრის N1/3 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის დებულება, რომელიც განსაზღვრავს თითოეულ პოზიციაზე დასაქმებული პირის ფუნქციებსა და მოვალეობებს. ბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია აღმასრულებელი დირექტორის 2024 წლის 29 იანვრის N1/8 ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის გამოყენების წესით (დებულებით). საგნობრივი კათედრების საქმიანობა რეგულირდება 2024 წლის 22 იანვრის N1/4 ბრძანებით დამტკიცებული კათედრის დებულებით. პედაგოგიური საბჭოს საქმიანობა განისაზღვრება 2024 წლის 7 თებერვლის N1/16 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დისციპლინური კომიტეტის უფლებები, მოვალეობები და მუშაობის წესი განსაზღვრულია 2024 წლის 24 იანვრის N1/5 ბრძანებით. სადამრიგებლო საქმიანობა რეგულირდება 2024 წლის 5 თებერვლის N1/14 ბრძანებით დამტკიცებული სადამრიგებლო დებულებით. ფსიქოლოგიური მომსახურება რეგულირდება 2023 წლის 9 სექტემბრის N77 ბრძანებით დამტკიცებული ფსიქოლოგიური მომსახურების მექანიზმებით. გარდა ამისა, დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები დეტალურადაა განსაზღვრული მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.

სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურის ვიზუალური სქემა, რომელიც თვალსაჩინოდ ასახავს თანამშრომელთა ურთიერთდაქვემდებარებასა და ანგარიშვალდებულებას.

ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცებული დებულებები არეგულირებს როგორც მართვის ორგანოების (პედაგოგიური საბჭო, კათედრები, დისციპლინური კომიტეტი), ასევე ინდივიდუალური პოზიციების საქმიანობას, ხოლო დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები დამატებით არის გაწერილი შრომით ხელშეკრულებებში. ასევე, სტრუქტურის ვიზუალური სქემა უზრუნველყოფს თანამშრომელთა ურთიერთდაქვემდებარებისა და ანგარიშვალდებულების მკაფიო აღქმას. აღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ სკოლაში ფუნქციები, პასუხისმგებლობები და როლები მკაფიოდ არის განაწილებული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება მკაფიოდ არის განსაზღვრული როგორც სტრუქტურული ერთეულების, ისე ინდივიდუალური პოზიციების დონეზე. თითოეული ერთეულის საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებებით, ხოლო დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები დეტალურადაა გაწერილი როგორც შიდა სამართლებრივ აქტებში, ასევე შრომით ხელშეკრულებებში. ინტერვიუები ჩატარდა სკოლის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წევრებთან. მათი განმარტებით, თითოეული მათგანი საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების ფარგლებში აქტიურად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებასა და მხარდაჭერაში. მშობლებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში იციან, ვის მიმართონ კონკრეტული საკითხის გადასაჭრელად. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დგება სტრუქტურული ერთეულების სამუშაო გეგმები, რომლებიც განსაზღვრავს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშემწყობ აქტივობებს. სკოლაში დასაქმებულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ უზრუნველყოფილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ყველა აქტივობის განხორციელება. ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმით დაკისრებული პასუხისმგებლობები თავსებადია თანამშრომელთა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფუნქციებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშტატო განრიგი;
- 2024 წლის 20 იანვრის N1/3 ბრძანება ;
- 2024 წლის 29 იანვრის N1/8 ბრძანება;
- 2024 წლის 22 იანვრის N1/4 ბრძანება;
- 2024 წლის 7 თებერვლის N1/16 ბრძანება
- 2024 წლის 24 იანვრის N1/5 ბრძანება;
- 2024 წლის 5 თებერვლის N1/14 ბრძანება;
- 2023 წლის 9 სექტემბრის N77 ბრძანება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

პერსონალის მართვის პროცესები სკოლაში რეგულირდება საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“, საქართველოს შრომის კოდექსით და სკოლის შიდამარეგულირებელი აქტებით. კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებული 2023 წლის 15 ნოემბრის N122 ბრძანებით) არეგულირებს სკოლაში მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის, შერჩევისა და შენარჩუნების მექანიზმებს, ასევე უზრუნველყოფს დასაქმებულთა მოტივაციის, თვითრეალიზებისა და ეფექტიანი საქმიანობის ხელშეწყობას. ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა რეგულირდება აღმასრულებელი დირექტორის 2023 წლის 13 ნოემბრის N120 ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს ახალ თანამშრომელთა ორგანიზაციულ გარემოში ეფექტიან ინტეგრაციას. დასაქმებულთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (2023 წლის 28 ნოემბერი, სN28 ბრძანება, ცვლილება ბრძანებაში 2025 წლის 6 ოქტომბრის, N1/61 ბრძანება) მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პერსონალის მართვის პროცესის ეფექტიანობას, რადგან უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების შერჩევას, ზრდის შერჩევის პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას და ამცირებს არასწორი გადაწყვეტილებების მიღების რისკს. ამასთან, აღნიშნული მოთხოვნები ხელს უწყობს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებას, ქმნის ერთიან სტანდარტს შეფასებისა და კარიერული წინსვლისთვის და საბოლოოდ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. სკოლის შინაგანაწესი (დამტკიცებული აღმასრულებელი დირექტორის 2020 წლის 7 სექტემბრის N96 ბრძანებით; ცვლილება შეტანილია 2026 წლის 21 აპრილის N1/9 ბრძანებით) არეგულირებს დასაქმებულთა შრომით ურთიერთობებს, სამუშაო პირობებსა და ქცევის წესებს. ამასთან, დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები დეტალურად არის განსაზღვრული როგორც სკოლის დებულებით, ასევე თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. დამატებით, განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა არეგულირებს დასაქმებულთა მხრიდან წარდგენილი საკითხების, პრეტენზიებისა და შესაძლო დავების სამართლიან, დროულ და გამჭვირვალე განხილვას, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა უფლებების დაცვას და ორგანიზაციული გარემოს კეთილსაიმედო ფუნქციონირებას.

აღნიშნული რეგულაციებისა და მექანიზმების ერთობლიობა უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესების კანონმდებლობასთან შესაბამისობას, გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის (ბრძანება სN122, 15 ნოემბერი 2023 წ.) ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში დანერგილია პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება სისტემურ შეფასებასა და შედეგებზე ორიენტირებულ მართვას. პერსონალის საქმიანობის უზრუნველყოფს როგორც თანამშრომელთა ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას, ისე მათი პროფესიული განვითარების დაგეგმვას. შეფასების მრავალფეროვანი მექანიზმები (სემესტრული ანგარიშგება, შეფასების პროცედურები, ურთიერთდასწრება, კმაყოფილების კვლევა) ქმნის შესაძლებლობას, დროულად გამოვლინდეს როგორც პოტენციური რისკები, ისე არსებული სირთულეები, რაც წარმოადგენს პრევენციული მართვის საფუძველს. ამავე დროს, გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება, პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ფუნქციების კორექტირება, წახალისება და სხვა ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები ასახავს ინტერვენციული მართვის ეფექტიან მექანიზმებს. შეფასების შედეგების გამოყენება

თანამშრომელთა წახალისების, დაწინაურების ან სხვა საკადრო გადაწყვეტილებების მისაღებად მიუთითებს, რომ სკოლაში პერსონალის მართვა არის წინასწარ დაგეგმილი და განვითარებაზე ორიენტირებული პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის სტაბილურობასა და ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას. აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, ხდება ფუნქციების გადანაწილება და ოპერატიული რეაგირება მიმდინარე პროცესების შეუფერხებლად წარმართვისთვის. მაგალითად, მასწავლებლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დირექცია საგნობრივი კათედრის წევრებთან კოორდინაციით ახდენს საგაკვეთილო ცხრილის გადახედვას და უზრუნველყოფს შესაბამისი ჩანაცვლების განხორციელებას სხვა მასწავლებლის მიერ, რათა სასწავლო პროცესი ორგანიზებულად გაგრძელდეს. ანალოგიურად, თანამშრომლის დროებითი არყოფნის შემთხვევაში (როგორც საპატიო, ისე არასაპატიო მიზეზით), მისი ფუნქციები ნაწილდება სხვა პერსონალზე, რაც უზრუნველყოფს სკოლის ყოველდღიური საქმიანობის უწყვეტობას. ამასთან, სკოლა სისტემურად ახორციელებს ადამიანური რესურსების საჭიროებების ანალიზს, რომლის საფუძველზეც, საჭიროების შემთხვევაში, აცხადებს ღია კონკურსს ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან მართვასა და ორგანიზაციის სტაბილურ ფუნქციონირებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში მასწავლებლის მიღება ხორციელდება შიდა ან ღია კონკურსის გზით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. მოწვეული ან/და შემცვლელ მასწავლებლებს სკოლა ასაქმებს კონკურსის გარეშე. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის მიღება ხდება კონკურსის გზით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარების და მონიტორინგის წესების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის“ შესაბამისად. სხვა თანამშრომელთა (გარდა მასწავლებლისა/მასწავლებლობის მაძიებლისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტისა) მიღება ხორციელდება სკოლის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, კანდიდატთან გასაუბრების საფუძველზე. ამასთან, აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თანამშრომლის სამუშაოზე მიღება შესაძლებელია კონკურსის გზითაც. სამუშაოდ მიღებულ ყველა დასაქმებულთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თითოეულ თანამშრომელზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც ინახება შემდეგი დოკუმენტები: ავტობიოგრაფია (CV), ფოტოსურათი, ნასამართლობის შესახებ ცნობა (მასწავლებლებისთვის), სქესობრივი დანაშაულის შესახებ ნასამართლობის ცნობა, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და შესაბამისი სერტიფიკატების ასლები (არსებობის შემთხვევაში). დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ თითოეული თანამშრომლის პირადი საქმე სრულად შეესაბამება სკოლის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს და შეიცავს ყველა აუცილებელ დოკუმენტაციას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა მასწავლებელთა დასაქმების ამსახველი საკონკურსო მასალა: დირექტორის ბრძანებები ვაკანსიის გამოცხადებაზე და საკონკურსო კომისიის ოქმები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლა იცავს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

EMIS-ის ბაზების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 1 წამყვანი, 34 უფროსი და 2 მასწავლებლობის მაძიებელი. ამასთან, 1 მასწავლებელი გადის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. სკოლაში ასევე დასაქმებულია 2 მოწვეული მასწავლებელი. მათგან ერთ-ერთ მოწვეულ მასწავლებელს (ი.ბ.) აქვს 20-საათიანი დატვირთვა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ მოწვეული მასწავლებლის სტატუსის განმარტებას, რომლის მიხედვითაც მოწვეული მასწავლებლის სამუშაო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს მასწავლებლის სრული დატვირთვისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50 პროცენტს. დასაქმებულთა პირადი საქმეების ანალიზით დადასტურდა, რომ ექიმი ფლობს უმაღლეს სამედიცინო განათლებას და შესაბამის სახელმწიფო სერტიფიკატს ზოგადი პროფილის ექიმ-პედიატრის მიმართულებით, ხოლო დანარჩენი პერსონალის (არა მასწავლებლის) კვალიფიკაცია შეესაბამება სკოლის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

ხარვეზი. სკოლაში მოწვეულ მასწავლებლად დასაქმებულ ი.ბ-ს აქვს 20 საათიანი დატვირთვა.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში გაწერა, რომ აცხადებს მზაობას ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე განახორციელოს ცვლილებები და ვაკანსიის გზით მოძებნოს „უფრო კვალიფიციური“ კადრი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და გასცა რეკომენდაცია 10/05/2026-15/09/2026 წ. პერიოდში უზრუნველყოს შესაბამისი კადრის დასაქმება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია მეტწილად.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, საგნობრივი კათედრებისა და სხვადასხვა დროებითი კომისიების სხდომების ოქმების ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულები მოქმედებენ კოორდინირებულად და თანამშრომლობაზე დაფუძნებული მიდგომით. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები სისტემატურად მართავენ შეხვედრებს, სადაც განიხილება აქტუალური საკითხები წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებები ოფიციალურად ფორმდება ოქმის სახით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. საგნობრივი კათედრების საქმიანობა გამოირჩევა აქტიური პროფესიული თანამშრომლობით. მასწავლებლები

ერთობლივად მუშაობენ სასწავლო გეგმების დახვეწაზე, კურიკულუმის განვითარებაზე, ეფექტიანი სწავლების მეთოდების გაზიარებასა და საგანმანათლებლო ინიციატივების განხორციელებაზე. პედაგოგიური საბჭოსა და კათედრების საქმიანობა ეფუძნება წინასწარ დამტკიცებულ წლიურ გეგმებს, რაც უზრუნველყოფს მათი საქმიანობის სისტემურობასა და მიზნობრიობას. გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიალურად, კენჭისყრის გზით, რაც კიდევ უფრო ამყარებს დემოკრატიული მართვის პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ერთიანად არიან ჩართული როგორც პედაგოგები, ისე სკოლის ადმინისტრაცია, რაც ასახავს თანამშრომლობითი მართვის კულტურას. ამრიგად, დოკუმენტური მასალისა და ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ორგანიზაციული კულტურა, რომელიც ეფუძნება თანამონაწილეობას და პასუხისმგებლობის გაზიარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა. სკოლის შინაგანაწესით მკაფიოდ არის განსაზღვრული დასაქმებულთა წახალისების ფორმები, რომლებიც მოიცავს: სკოლის დირექტორის ბრძანებით მადლობის გამოცხადებას, საპატიო სიგელით დაჯილდოებას, ფასიანი საჩუქრის გადაცემას, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემას და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადამდე მოხსნას. აღნიშნული მექანიზმების რეალური ფუნქციონირება დადასტურდა როგორც დირექციასთან, ისე მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე და სკოლის მიერ წარმოდგენილი, დასაქმებულებზე გაცემული მადლობის სიგელებით, მათ შორის: საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისათვის, მოსწავლეთა მაღალი აკადემიური შედეგებისათვის და სხვა. ამასთან, სკოლის ხელშეწყობით მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა პროფესიულ ღონისძიებებში, მათ შორის კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში, რაც ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებასა და პროფესიულ განვითარებას. მაგალითად, სკოლის მასწავლებლები იმყოფებოდნენ კონფერენციაზე „ცხოვრება კონფლიქტების გარეშე - გზა მშვიდობისაკენ“, სამუშაო შეხვედრებზე ბობოყვათში. ამრიგად, სკოლაში პრაქტიკაში ფუნქციონირებს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმები, რაც დადებითად აისახება თანამშრომელთა მოტივაციასა და პროფესიულ განვითარებაზე. თუმცა აღნიშნული პრაქტიკა არ არის დოკუმენტირებული, რის გამოც ნაკლებად არის უზრუნველყოფილი მისი სისტემურობა და გამჭვირვალე მართვა. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, **სასურველია ცალკე დოკუმენტად მოახდინოს არსებული პრაქტიკის ფორმალიზება, რათა უზრუნველყოს პროცესის თანმიმდევრული დაგეგმვა, მონიტორინგი და განვითარება.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანებები საქმიანობის დროებით დელეგირებასთან დაკავშირებით;
- პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, საგნობრივი კათედრების ოქმები;

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
- სოციალური ქსელი;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის (2023 წლის 15 ნოემბრის, სN122 ბრძანება) ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემური მექანიზმები, რომლებიც წარმოადგენს საკადრო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს თანამშრომელთა საჭიროებებისა და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას, პროფესიული შესაძლებლობების გამოვლენას და მათი შემდგომი განვითარების ხელშეწყობას. შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები (სემესტრული ანგარიშგება, ურთიერთდასწრება, კმაყოფილების კვლევა, თვითშეფასება, აკადემიური შედეგების ანალიზი და სხვ.) იძლევა შესაძლებლობას, დროულად გამოვლინდეს პოტენციური სირთულეები და განხორციელდეს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები. ამავე დროს, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით მიიღება კონკრეტული მართვითი გადაწყვეტილებები, როგორიცაა პროფესიული გადამზადება, ფუნქციების კორექტირება ან სხვა ადმინისტრაციული ზომები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის ყველა რგოლის

ეფექტიან ფუნქციონირებას. პროცესის სისტემურობისა და გამჭვირვალობის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ფორმები მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ფორმაა, ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარი და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული აქვს დასაქმებულთა შეფასების ინსტრუმენტები და წარმოდგენილი აქვს პერსონალის შეფასების შესაბამისი ფორმები. ამასთან, სკოლის განმარტებით, 2026–2027 სასწავლო წლის დასაწყისისთვის დაგეგმილია შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება და პერსონალის გადამზადება აღნიშნული გეგმის შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ პერსონალის შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე პერსონალის განვითარების პროცესი ამ ეტაპზე არ ხორციელდება და არ იდენტიფიცირდება როგორც სისტემური და მიმდინარე პრაქტიკა, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

ხარვეზი. **პერსონალის განვითარება არ ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად.**

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლა 10/05/2026-10/05/2027 პერიოდში უზრუნველყოფს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე პერსონალის პროფესიულ განვითარებას. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და გასცა რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (10/05/2026-10/05/2027) შეიმუშაოს პერსონალის შეფასებით გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისი პროფესიული განვითარების გეგმა და უზრუნველყოს მისი განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია მეტწილად.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა ხელს უწყობს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებას და ქმნის მამოტივირებელ გარემოს, რომელიც პერსონალს კარიერული ზრდისკენ უბიძგებს. აღნიშნულის ფარგლებში, სკოლაში დასაქმებულ მაძიებელ მასწავლებელს მიმაგრებული ჰყავს ტუტორი, რომელიც უზრუნველყოფს მის პროფესიულ მხარდაჭერასა და განვითარებას. სკოლაში მოქმედებს კარიერული წინსვლის პრაქტიკაც - მულტიმედიისა და დიზაინის მასწავლებელი დაწინაურდა ადმინისტრაციულ პოზიციაზე, რაც მიუთითებს პროფესიული ზრდის ხელშეწყობაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებილია.

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას შემუშავებული და 2023 წლის 13 ნოემბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა“. სკოლაში დანერგილია ახალმიღებული თანამშრომლების სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის მკაფიოდ განსაზღვრული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ ინტეგრაციას პროფესიულ, სოციალურ და ორგანიზაციულ გარემოში. პროცესი მოიცავს თანმიმდევრულ ეტაპებს, განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირებსა და მხარდაჭერის მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა სწრაფ ადაპტაციასა და პროდუქტიულ ჩართულობას. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლა პრაქტიკაში ეფექტურად ახორციელებს ახალ თანამშრომელთა ინტეგრაციის პროცესს და უზრუნველყოფს მათთვის მხარდამჭერი და ორგანიზებული სამუშაო გარემოს შექმნას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მუხლი. 20) პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, რომელიც ხორციელდება ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით. ამასთან, პროფესიული განვითარების საჭიროების შესახებ დაწესებულების ხელმძღვანელს შესაძლოა თავად თანამშრომელმა მიმართოს და გამოხატოს ინიციატივა, რაც ხაზს უსვამს პროცესის თანამშრომელზე ორიენტირებულ მიდგომას. სკოლა მუდმივად ზრუნავს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და იყენებს სხვადასხვა მექანიზმს, მათ შორის: სთავაზობს ტრენინგებს, სემინარებს და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას; გამოყოფს ფინანსურ რესურსს ტრენინგებსა და აკადემიურ კონფერენციებზე დასასწრებად. უზრუნველყოფს სხვადასხვა მხარდამჭერ აქტივობებს. დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლებისა და პროფესიული ზრდის წახალისების მიზნით, სკოლაში შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები. თანამშრომლები წახალისდებიან პროფესიული მოვალეობების მაღალი ხარისხით შესრულებისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობის სამუშაოს განხორციელებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი საქმიანობისთვის და საგანმანათლებლო პროცესში გამორჩეული შედეგებისათვის. წახალისების ფორმებია: დირექტორის ბრძანებით მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელი, ფასიანი საჩუქარი, ერთჯერადი ფულადი პრემია და დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა. სკოლაში არსებობს წახალისების პრაქტიკული მაგალითებიც: ქართულის მასწავლებლის მიერ დადგმული სპექტაკლი „ერთი მუჭა მიწა“ სკოლის მხარდაჭერით მონაწილეობდა ფესტივალებში (ქობულეთი, სიღნაღი, საგარეჯო). სკოლა ასევე წახალისებული ჰყავს ინოვაციური მიდგომებით გამორჩეული და მაღალი აკადემიური შედეგების მქონე მოსწავლეების მასწავლებლები, რაც დასტურდება შესაბამისი ბრძანებებითა და სიგელებით. ინტერვიუების მიხედვით, მასწავლებლები ინიციატივებს ხშირად ზეპირად აყენებენ და დირექცია მათ შესაძლებლობის ფარგლებში მხარს უჭერს. აღნიშნული მხარდაჭერის შედეგად არაერთმა მასწავლებელმა აიმაღლა პროფესიული სტატუსი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი;
- ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა;
- დასაქმებულთა შეფასების დოკუმენტაცია;
- ბრძანება ტუტორის განსაზღვრაზე;
- შინაგანაწესი;
- მადლობის სიგელები;
- ბრძანებები ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ;
- სტანდარტთან შესბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით (01/12/2023 წლის ბრძანება სN131) სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს დემინგის ციკლის პრინციპით („დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“). აღნიშნულს ადასტურებს სკოლის პრაქტიკა, რომელიც მოიცავს ერთწლიანი სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით გაუმჯობესების დაგეგმვასა და განხორციელებას. ანალოგიური მიდგომა ვრცელდება ადამიანური

რესურსების მართვაზეც - დაგეგმვა, მოზიდვა/შერჩევა, შეფასება და შეფასების შედეგებზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. საგანმანათლებლო საქმიანობისა და რესურსების შეფასების პროცესებიც ორგანიზებულია იმავე ციკლის შესაბამისად: პროცესები იგეგმება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინერგება, ექვემდებარება მონიტორინგს, ხოლო მიღებული შედეგები ანალიზდება და გამოიყენება შემდგომი გაუმჯობესებისთვის, რაც უზრუნველყოფს სისტემურობასა და უწყვეტ განვითარებას. სკოლის ფინანსური მართვა ასევე ეფუძნება ფინანსური და ბიუჯეტირების პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას. ამასთან, სკოლა რეგულარულად ახორციელებს სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებულების საქმიანობის შიდა შეფასებას, რომლის ფარგლებში სასწავლო წლის ბოლოს ანგარიშებს წარადგენენ დამრიგებლები, კათედრები, დირექტორის მოადგილე, ექიმი და ფსიქოლოგი სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული საქმიანობების შესახებ. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც კოორდინაციას უწევს ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვას, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილესთან ერთად ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას და მიღებული ანალიზის საფუძველზე გეგმავს გაუმჯობესების მექანიზმებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში იდენტიფიცირებულია და დოკუმენტურად აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. კერძოდ, 2023 წლის 10 ნოემბრის სN117 ბრძანებით დამტკიცებულ კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ჩამოთვლილია აღნიშნული პროცესები. ამავე მეთოდოლოგიაში განსაზღვრული და აღწერილია ძირითადი პროცესები. მმართველობითი პროცესები გაწერილია მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, ხოლო დამხმარე პროცესები აღწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, სტრუქტურული ერთეულების დებულებებსა და საქმისწარმოების წესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას თითოეულ მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და დასაქმებულთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული მხარეთა უფლებები და ვალდებულებები. სკოლას 2023 წლის 28 ნოემბრის N129 ბრძანებით დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს განცხადების ფორმას, საჩივრის განხილვის ეტაპებსა და ვადებს. ამასთან, სკოლაში გამოცემული ყველა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტი (ბრძანება) შეიცავს ინფორმაციას მისი გასაჩივრების ადგილისა და ვადების შესახებ, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობასა და სამართლებრივ დაცულობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები და მოქმედი მექანიზმები, მათ შორის: შინაგანაწესი; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; სასკოლო სასწავლო გეგმა. ასევე ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში დასაქმებულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და ექიმი, ხოლო თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, რაც დამატებით უზრუნველყოფს უფლებების დაცვასა და მხარდაჭერას. დამატებით, 2023 წლის 1 დეკემბრის N132 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, რომელიც განსაზღვრავს მათ ინფორმირების წესსა და პროცედურებს უფლებების შესახებ. სკოლა მშობლების ინფორმირებას ახორციელებს დამრიგებლების მეშვეობით. კერძოდ, დამრიგებლები მოსწავლეების მშობლებს/კანონიერ წარმომადგენენლებს აცნობენ საკუთარი უფლებებსა და ვალდებულებებს, აგრეთვე შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის პუნქტებს. ამრიგად, სკოლაში დანერგილია და ფუნქციონირებს პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმირებულობას, უსაფრთხო გარემოსა და სამართლებრივ დაცულობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა,;
- ხელშეკრულებები;
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (ბრძანებები);
- შინაგანაწესი;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დისციპლინური კომიტეტის დებულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებისათვის აქტიურად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს: ოფიციალურ ვებგვერდს, ფეისბუქ გვერდს და ელექტრონულ ჟურნალს. მნიშვნელოვანი ინფორმაცია ასევე ვრცელდება დამრიგებლების მეშვეობით. ვებგვერდზე განთავსებულია ძირითადი რეგულაციები და დაგეგმილი აქტივობების შესახებ განახლებული ინფორმაცია. სკოლაში დასაქმებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და PR მენეჯერი, რომელიც გეგმავს, ახორციელებს და აკონტროლებს საკომუნიკაციო აქტივობებს, უზრუნველყოფს ინფორმაციის მიზნობრივ გავრცელებას, მათ შორის ბეჭდვითი მასალების საშუალებითაც. უკუკავშირის მიღების მიზნით, სკოლა პერიოდულად ატარებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვებს მნიშვნელოვან საკითხებზე და მიღებულ შედეგებს ითვალისწინებს შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისას. ინტერვიუების დროს მშობლებმა დაადასტურეს კონკრეტული შემთხვევები, როდესაც მათი უკუკავშირის საფუძველზე სკოლამ დაგეგმა და განახორციელა შესაბამისი აქტივობები. ამრიგად, სკოლაში დანერგილია კომუნიკაციის, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების ეფექტური მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას, ჩართულობასა და მართვის პროცესების გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით, რაც უზრუნველყოფს მათ აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნული დასტურდება პედაგოგიური საბჭოს საქმიანობით, სადაც მასწავლებლები ჩართულნი არიან მნიშვნელოვანი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში, მათ შორის: შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. კათედრები აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროცესის მართვაში. ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით, არჩევენ და ამტკიცებენ სახელმძღვანელოებსა და სასწავლო რესურსებს, განიხილავენ სასწავლო პროგრამების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, ხელს უწყობენ პედაგოგთა თანამშრომლობასა და პროფესიულ განვითარებას, ასევე ახორციელებენ მათი საქმიანობის მონიტორინგსა და შეფასებას. სხვადასხვა მიზნით შექმნილი დროებითი კომისიები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში იღებენ გადაწყვეტილებებს მათზე დაკისრებული მოვალეობების შესაბამისად. ამრიგად, სკოლაში შექმნილია და ფუნქციონირებს ისეთი მმართველობითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას როგორც სასკოლო ცხოვრებაში, ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულიას

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედსაბჭს დებულება და პედსაბჭოს სხდომის ოქმები;
- კათედრების დებულება და კათედრების სხდომების ოქმები;
- მასწავლებელთა შერჩევის მიზნით შექმნილი კომისიის მუშაობის ოქმები;
- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მასალები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

წესრიგის დაცვისა და ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე სკოლის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და თანამშრომელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის, სკოლას შემუშავებული აქვს „წესრიგის

დაცვისა და ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები (დებულება)“. (4/12/2023 წლის ბრძანება სN133). აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების სისტემური განხორციელების წესს, ხოლო დარღვევის შემთხვევაში - ეფექტიანი და დროული რეაგირების მექანიზმებს. დებულებაში ჩამოყალიბებულია სკოლაში დადგენილი წესრიგის დამრღვევი ქმედებების ჩამონათვალი, შესაბამისი რეაგირების ფორმები, აგრეთვე წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები და მათი უფლებამოსილებები. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინის დაცვის მიმართულებით დაწესებული აკრძალვები, რომლებიც ეხება კონკრეტული ნივთების სკოლაში შემოტანა-მოხმარებას, აგრეთვე განსაზღვრული უსაფრთხოების ღონისძიებები, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, შესაძლო რისკების პრევენციასა და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნებას.

სკოლას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული აქვს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შეთანხმების წერილი 2024 წლის 15 მარტი MIA 2 24 00790131). ამასთან, სკოლას განსაზღვრული ჰყავს: სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (26/08/2025 წლის ბრძანება N1/35), ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (28/11/2024 წლის ბრძანება N 1/85) უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირები (ორივე სქესის. 11/09/2025 წლის ბრძანება N1/47), უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამისილი პირი (27/12/2024 წლის ბრძანება N1/92), ელექტრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (22/05/2024 წლის ბრძანება N1/30), ალკოჰოლზე, ნარკოტიკსა და ფსიქოტროპულ თრობაზე პასუხისმგებელი პირი (09/09/2024 წლის ბრძანებაN1/40), სკოლის მედიატორი (13/09/2024 წლის ბრძანება N1/54), რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი (26/09/2024 წლის ბრძანება N1/59), რომლებიც საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ხელს უწყობენ სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლის ტერიტორიაზე არსებულ უსაფრთხო ფიზიკურ გარემოზე საუბრობდნენ სკოლი მოსწავლეებიც ინტერვიუს დროს.

ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა შპს „ მშენებლობა-პროექტირების ექსპერტიზის ცენტრს“ A- EQSPERT-ის მიერ გაცემული დასკვნა, რომლის მიხედვითაც საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ტექნიკური მდგომარეობა არის სამუშაო და შენობის ექსპლოატაცია დანიშნულების მიხედვით უსაფრთხოა. ინსპექტირების ანგარიშის ნომერია N004-3/03/26.

სკოლამ ვიზიტის ფარგლებში ასევე წამოადგინა უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. დასკვნაში განსაზღვრულია გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა უმეტესობა სკოლას უკვე შესრულებული ჰქონდა.

სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც შემუშავებული აქვს წესრიგის დაცვის შესაბამისი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და კონტროლირებად გარემოს. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი პერიოდულად ატარებს ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს სკოლაში დასაქმებულებთან რაც ასევე ხელს უწყობს ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგირ დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახლობის მართლმადიდებლური სკოლის ექიმის დებულება (დამტკიცებული 09.09.2023 წლის სN78 ბრძანებით), რომელიც განსაზღვრავს ექიმის ფუნქციებს, განსახორციელებელ საქმიანობებს/ღონისძიებებსა და იმ დოკუმეტაციის ჩამონათვალს და ფორმას, რომელიც უნდა აწარმოოს ექიმმა, როგორც მოქმედი კანონმდებლობის, ასევე სკოლის შიდამარეგულირებელი ნორმების შესაბამისად. დებულების მიხედვით, ექიმი, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების გარდა, აწარმოებს „მოსწავლის საგაკვეთილო პროცესიდან გათავისუფლების ჟურნალს“ და „სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის, დეზინფექციის აღრიცხვისა და მონიტორინგის ჟურნალს“. ექიმის კაბინეტი განთავსებულია შენობის მეორე სართულზე და აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია ექიმი, რომელსაც აქვს უმაღლესი სამედიცინო განათლება და გააჩნია დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი „ზოგადი პროფილის ექიმი-პედიატრი“. ექიმი აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტი შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 28 მაისის წერილი MES 1 21 0000494169). სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეოსამეთვალყურეო კამერები, რომლებიც უზრუნველყოფს შიდა და გარე პერიმეტრის სრულ კონტროლს. ვიდეოჩანაწერის სისტემა განთავსებულია სკოლის პირველ სართულზე და განსაზღვრულია ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ასევე უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. გარდა ამისა, აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ზედაპირული დათვალიერების, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მონიტორინგის, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მართვაზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლას, უსაფრთხო, პოზიტიური და ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, შემუშავებული აქვს „ფსიქოლოგიური მომსახურების მექანიზმები“ (09.09.2023 წლის სN77 ბრძანება). დოკუმენტის მიხედვით, ფსიქოლოგის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სკოლაში უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობა, რაც მოიცავს მასწავლებელთა და მშობელთა კონსულტირებას, აგრეთვე მშობლისა და მასწავლებლის თანამშრომლობის მხარდაჭერას ბავშვის სტრესისა და სხვადასხვა სირთულის ეფექტიანი მართვის პროცესში. სკოლაში მოსწავლეთა შორის არსებული კონფლიქტების მოგვარების მიზნით, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს მონაწილე მხარეთა ინტერესებს, შემუშავებულია „მედიაციის წესი“ (დამტკიცებული 2023 წლის 24 ნოემბრის სN126 ბრძანებით). კონფლიქტის გამოვლენის შემთხვევაში, მედიატორის ფუნქციას ასრულებს აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი/პირები, პროცესში კი, საჭიროებისამებრ, მონაწილეობენ მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლები, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები და ფსიქოლოგი. სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას ემსახურება ასევე ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია (დამტკიცებული 2024 წლის 31 იანვრის N1/10 ბრძანებით) აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ბავშვის დაცვის საკითხებს, როგორც ოჯახში, ისე მის გარეთ განხორციელებული ძალადობის ყველა ფორმისგან და განსაზღვრავს სკოლის უფლებამოსილებებს აღნიშნულ მიმართულებაში. სკოლაში განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე. როგორც ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა სკოლაში არის მშვიდი და უსაფრთო გარემო, რაც დაადასტურეს ასევე მოსწავლეებმა და მშობლებმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების სათანადო უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი (დამტკიცებული 2024 წლის 5 თებერვლის N1/13 ბრძანება), რომელიც განსაზღვრავს შენობის, ეზოსა და სათავსების დასუფთავების წესებსა და პერიოდულობას, სანიტარული კვანძების მოვლა-დასუფთავების პროცესს, ნარჩენების მართვის პრინციპებსა და პროცედურებს. ამავე წესით, სკოლაში სანიტარიისა და ჰიგიენის დაცვისთვის პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ექიმი, რომლის ფუნქციები და პასუხისმგებლობები დეტალურად არის გაწერილი მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და ექიმის დებულებაში. ვიზიტის პერიოდში ექიმმა წარმოადგინა „სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის, დეზინფექციის აღრიცხვისა და მონიტორინგის ჟურნალი“.

სკოლა პერიოდულად ახდენს სკოლის ტერიტორიის დეზინფექცია, დერატიზაცია, დეზინსექციას, რისთვისაც გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამის უწყებასთან . საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები ინახება უსაფრთხო, ჩაკეტილ სათავსოში, რაც უზრუნველყოფს მათი უსაფრთხო გამოყენებას. სველი წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, მათ შორის: ხელმისაწვდომია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი), ნარჩენების კალათა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი (2024 წლის, 5 ნოემბრის N1/79 ბრძანება), რომელიც აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად მოპოვებული აქვს თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე. მოსწავლეებისა და პერსონალის დოკუმენტები/პირადი საქმეები ინახება კანცელარიაში დაკეტილ კარადებში და მასზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის პირადი ინფორმაციის დაცვას. მონაცემის გაცემა ხდება ოფიციალური მომართვის საფუძველზე. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. ელექტრონულ ჟურნალში მასწავლებლებს წვდომა აქვთ მხოლოდ თავიანთი მოსწავლეების, ხოლო დამრიგებლებს - თავიანთი კლასის მონაცემებზე. სხვა მასწავლებლისთვის, რომელიც არ ასწავლის მოსწავლეს ან სხვა ნებისმიერ პირს არ აქვს წვდომა მოსწავლეთა ინფორმაციაზე. ამასთან, შეფასებების შესახებ ინფორმაცია მშობლებს მიწოდებათ ელ. ჟურნალისა და ინდივიდუალური შეხვედრების დროს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია ინფორმაცია მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების შესახებ. დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვისა და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან. ასევე, სკოლა იცავს ელექტრონული ინფორმაციის წვდომასა და დაზიანებას არაავტორიზებული მომხმარებლისგან. პერსონალურ ინფორმაციაზე წვდომა არ აქვს სხვა პირს გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესში აღნიშნული პირებისა. ინფორმაციის გაცემა მესაკუთრეზე ხდება წერილობითი მომართვის საფუძველზე, ხოლო სხვა პირზე შეიძლება გაიცეს მხოლოდ ინფორმაციის მესაკუთრის წერილობითი თანხმობით. ამასთან, სკოლის კომპიუტერს, რომელშიც ინახება ინფორმაცია, აქვს შესაბამისი დაშვების კოდი, რომელიც არ არის ცნობილი სხვა პირებისთვის გარდა საქმისმწარმოებლისა, ხოლო მატერიალური დოკუმენტაცია ინახება პოლიტიკის შესაბამისად განსაზღვრულ ადგილებში. არქივზე პასუხისმგებელი პირად განსაზღვრულია მატერიალურ-ტექნიკური მენეჯერი (ბრძანება 1/9 (04/04/2025 წ).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთოების შეფასების მიზნით იყენებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას რისთვისაც შექმნილია შესაბამისი კითხვარები. კითხვარების დამუშავების /ანალიზის შედეგები გამოიყენება სკოლაში მოქმედი უსაფრთხოების მექანიზმების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წესრიგის დაცვისა და ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
- კითხვარები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- პერსონალურ მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის ფორმები;
- „ფსიქოლოგიური მომსახურების მექანიზმები“
- ექიმის დებულება;
- ექიმის პირადი საქმე;
- ექიმის კაბინეტის აღჭურვილობა;
- წამლების შესყიდვის დოკუმენტაცია;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შეთანხმების წერილი;
- ბრძანებები: სახანძრო უსაფრთოებაზე პასუხისმგებელი პირის, ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის, უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირების, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამისილი პირის, ელექტრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის, ალკოჰოლზე, ნარკოტიკსა და ფსიქოტროპულ თრობაზე პასუხისმგებელი პირის, სკოლის მედიატორის, რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი;
- სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
- შრომის უსაფრთხოების ოფიცრის სამუშაო მასალები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო მასალები.
- შპს „სადეზინფექციო პროფილაკტიკური მომსახურეობასთან“ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N52-ში. უძრავი ქონების მესაკუთრეს წარმოადგენს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია. სკოლას აღნიშნული უძრავი ქონება გადაცემული აქვს სარგებლობაში თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე, 20 წლის ვადით, 2046 წლის 5 თებერვლამდე. ამონაწერით საჯარო რეესტრიდან მიწის დაზუსტებული ფართობია 12657.00 კვ.მ. (საკადასტრო კოდები: 01.72.14.020.308.01.500; 01.72.14.020.308.01.507; 01.72.14.020.308.01.508; 01.72.14.020.308.01.509, 01.72.14.020.308.01.510). სკოლის შენობა არის სამსართულიანი. სკოლის ეზო შემოღობილია და დაცულია უცხო პირთა გადააგილებისგან. შენობის სამივე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ოთახები ადმინისტრაციისათვის, სველი წერტილები, ექიმის კაბინეტი და ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, ოთახები სხვადასხვა საწრეო მუშაობისთვის. ყველა საკლასო ოთხი აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, მონიტორებით მასწავლებლის მაგიდითა და სკამით, დაფებით, განთავსებულია სასწავლო რესურსები, ყველა ოთახი პირველადი განათებითაა. სკოლას საკუთრებაში გააჩნია 433 მერხი სკამით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია/ანატომია და საერთო დანიშნულების - ჯამში 208 დასახელება) ლაბორატორიული აღჭურვილობა, 33 კომპიუტერი და ნოუთბუქი, 19 მონიტორი, 3 პრინტერი და 5 პროექტორი.გარდა ამისა, სკოლა უზრუნველყოფილია სპორტული ინვენტარითა და სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის საჭირო სხვა მატერიალური რესურსებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.**დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის სოციალური ქსელის და ვებგვერდის ანალიზით და სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის - მოსწავლეებისთვის, თანამშრომლებისა და მშობლებისთვის. სკოლას აქვს სპორტული სივრცე სპორტული აქტივობებისთვის, ფოიეში განთავსებულია ტენისის მაგიდა, სკოლის ეზოში არის სპორტული მოედანი. ტერიტორია სრულად არის შემოღობილი, მოწყობილია ეზო და რეკრეაციული ზონები, რომელთა გამოყენება ხელმისაწვდომია და ხელს უწყობს მოსწავლეთა და

მასწავლებელთა აქტიურ და მრავალმხრივ ჩართულობას. მოსწავლეთა და დასაქმებულთა მიერ მატერიალურ რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (დამტკიცებული 2023 წლის 20 ნოემბრის სN125 ბრძანებით). აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს საბუნებისმეტყველო და ისტ ლაბორატორიებში ქცევის წესებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის პირობებს, ასევე სპორტული ინფრასტრუქტურით სარგებლობის წესსა და დროს. ინტერვიუს დროს სასკოლო საზოგადოებამ დაადასტურა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და საერთო სარგებლობის სივრცეების, ასევე მატერიალური რესურსის თანაბარხელმისაწვდომობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

საბიბლიოთეკო სერვისების თანაბარხელსმისაწვდომობისა და შეუფერხებელი მიწოდების მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი (დებულება) (დამტკიცებული 2024 წლის 29 იანვრის N1/8 ბრძანებით). რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკის ფუნქციონირების, მასში არსებული რესურსების გამოყენებისა და სარგებლობის წესებს. ამასთან, იგი განსაზღვრავს ბიბლიოთეკით სარგებლობის პირობებს, მკითხველთა უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე საბიბლიოთეკო მასალების აღრიცხვის, დაცვისა და დაბრუნების პროცედურებს. ბიბლიოთეკაში დაცული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლას აქვს პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები რაც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეთა ხელმისაწვდომობას და ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მის ჩამოყალიბებას აქტიურ სოციო-კულტურულ სივრცედ. სააქტო დარბაზი, სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვისაც, რაც ხელმისაწვდომია სასკოლო თემისათვის. სკოლაში არსებობს საერთო სარგებლობის სივრცეები, სადაც გაკვეთილების დასრულების შემდეგ იმართება სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები, ასევე უზრუნველყოფილია კომუნიკაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობა. სასკოლო ბიბლიოთეკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასკოლო საზოგადოების განვითარებაში - იგი უზრუნველყოფს როგორც კურიკულუმით განსაზღვრულ, ასევე დამატებითი სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას, ქმნის პირობებს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის და აწყობს საგანმანათლებლო და შემეცნებით აქტივობებს. ბიბლიოთეკის რესურსებით სარგებლობა შესაძლებელია სასკოლო საზოგადოებისათვის. ბიბლიოთეკა და სხვა სასწავლო სივრცეები პედაგოგებთან თანამშრომლობით

აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობის ორგანიზებისთვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულება უძრავი ქონების თხოვების შესახებ;
- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ქონების თხოვების ხელშეკრულებით;
- მატერიალური რესურსის შესყიდვის აქტებით.
- ბიბლიოთეკის გამოყენების წესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები
3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო პროცესის მართვას. დაწესებულება უზრუნველყოფილია საკმარისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით (სულ 33 ერთეული. მათ შორის ადმინისტრაციის განკარგულებაშია - 7). ძირითადი სამუშაო და სასწავლო სივრცეები, მათ შორის სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით. დამატებით, საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია მონიტორები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას. ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირდა, რომ მასწავლებლები აქტიურად და მიზნობრივად იყენებენ ტექნოლოგიებს როგორც გაკვეთილების დაგეგმვის, ისე განხორციელების პროცესში. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა შეუფერხებლად დაეუფლონ კომპიუტერულ მეცნიერებებს, რაც აძლიერებს მათ ციფრულ კომპეტენციებს და ამზადებს თანამედროვე გარემოს მოთხოვნებისთვის. სკოლა ასევე უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტით, რაც კიდევ უფრო ამარტივებს ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის კომპიუტერულ კლასში განთავსებულია 16 კომპიუტერი/ლეპტოპი, რომელსაც იყენებენ როგორც მასწავლებლები, ასევე მოსწავლეები. დამატებით კომპიუტერული ტექნიკა განლაგებულია სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში. კომპიუტერული ტექნიკის მიზნობრივად გამოყენებას ხელს უწყობს სკოლის მიერ შემუშავებული ლაბორატორიის მუშაობის წესი (2024 წლის 26 იანვრის N1/7 ბრძანება), რომელიც არეგულირებს კომპიუტერით სარგებლობისას დაშვებულ და აკრძალულ წესებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი ფოკუმენტაცია.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. სკოლაში საქმისწარმოების პროცესის ორგანიზებასა და მართვაზე პასუხისმგებელია საქმმისმწარმოებელი რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის გამართულ ფუნქციონირებას. მისი მოვალეობაა სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვა და რეგისტრაცია, მოსწავლეთა გადაადგილებასთან დაკავშირებული პროცესების კოორდინირება და მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტების დამოწმებული ასლების გაცემა. საქმისმწარმოებელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს, ამუშავებს და არეგისტრირებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს მის განხილვასა და შესაბამის ადრესატამდე მიწოდებას. სკოლის დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამ ძირითად კატეგორიას: შემოსულ, გასულ და შიდა დოკუმენტაციას. აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებები ფორმდება ბრძანებების სახით, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ბრძანებების სახეებია: მოსწავლეთა ბრძანებები, საერთო ბრძანებები და ფინანსური ბრძანებები. ბრძანებებს ნომრები ენიჭება კალენდარული წლის განმავლობაში, გამოცემის თარიღისა და თანმიმდევრობის მიხედვით. საქმისწარმოების მენეჯერი ასევე აწარმოებს შესაბამის ჟურნალებს. შემოსული და გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალები; მოსწავლეთა საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; სკოლის აღმასრულებელი დირექტორის საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი; ფინანსური ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. ყველა ჟურნალი, რომელიც იწარმოება სკოლაში არის დანომრილი, ზონარგაყრილი და დამოწმებული ბეჭდით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში გამოიყენება მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები. თანამშრომლებთან კომუნიკაციისა და კორესპონდენციის გასავრცელებლად სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას st.ninoschool@gmail.com. სკოლას აქვს eSchool-ის ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს სკოლის საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eschool სისტემის მეშვეობით. ვაკანსიების (მასწავლებელი, ექიმი, სპეციალური მასწავლებელი) გამოცხადებისათვის გამოიყენება ელექტრონული დასაქმების გვერდი teacherjobs.ge. სკოლამ 2026 წლის 18 თებერვალს გააფორმა ხელშეკრულება შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემსთან“. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სისტემის ლიცენზიის დროებით სარგებლობაში გადაცემა, შიდა სასკოლო დოკუმენტების ელექტრონულად საწარმოებლად. ვიზიტის პერიოდში სკოლაში მიმდინარეობდა ელექტრონული საქმისწარმოება.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლის პროფილის, პერსონალისა და მოსწავლეების, მათი მშობლების შესახებ ინფორმაცია ასახულია eschool.emis.ge ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელ შესაბამის უწყებებთან და უზრუნველყოფს მათთან ეფექტიან კომუნიკაციას. დაწესებულება, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, დროულად წარადგენს ანგარიშებს, საჭირო ინფორმაციასა და უკუკავშირს, რეაგირებს შემოსულ კორესპონდენციაზე. სკოლა აქტიურად ურთიერთობს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, რომლის მეშვეობითაც ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან სხვადასხვა საკითხის შეთანხმებისა და ნებართვების მიღების მიზნით. ამასთან, სკოლა რესურსცენტრს ყოველწლიურად წარუდგენს ინფორმაციას მიღებული ვაუჩერული დაფინანსების ხარჯვის შესახებ, ხოლო დამფუძნებელს-საპატრიარქოს ფინანსურ ანგარიშს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- Eschool-emis ბაზა
- შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება;
- ფინანსური ანგარიში;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით მართავს სკოლის ვებ-გვერდსა და ოფიციალურ გვერდს სოციალურ ქსელში, სადაც მუდმივად აახლებს ინფორმაციას; სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდია საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის სკოლა ხოლო სოციალური ქსელია https://www.facebook.com/ninoorthodoxschool აღნიშნულ პლათფორმებზე სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია მიმდინარე და განხორციელებული პროექტების, სასწავლო აქტივობების და სხვა ღონისძიებების შესახებ. აღნიშნული პლატფორმები არის საჯარო, ღია და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სოციალური ქსელის ადმინისტრირებას ახორციელებს სასწავლო პროცესისა და სოციალური მედიის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს სანდო ინფორმაციის დროულად განთავსებას. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელზეც წვდომა აქვთ როგორც მასწავლებლებს, ასევე მშობლებსა და კანონიერ წარმომადგენლებს. ინფორმაციის გაცვლა და დამუშავება ასევე ხორციელდება სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, რაც უზრუნველყოფილია ინფორმაციის მომზადებისა და გამოქვეყნების შიდა მარეგულირებელი პროცედურებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის წესით (2023 წლის 24 ნოემბრის ბრძანება სN 127). სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებლობას იზიარებენ აღმასრულებელი დირექტორი და სასწავლო პროცესისა და სოციალური მედიის მენეჯერი. სკოლის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში განსათავსებელი მასალის პირველადი მომზადება ხორციელდება იმ სტრუქტურული ერთეულის ან პერსონალის მიერ, რომლის ორგანიზებითაც განხორციელდა შესაბამისი აქტივობა, მომზადებული ტექსტი წინასწარ თანხმდება აღმასრულებელ დირექტორთან სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რის შემდეგაც მის განთავსებას პლათფორმაზე უზრუნველყოფს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. ინტერვიუს დროს მშობლებმა და მოსწავლეებმა დაადასტურეს რომ სკოლის მიერ სოციალურ ქსელში განთავსებული მასალა ყოველთვის დროული და უტყუარია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფიელბულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლისთვის მნიშვნელოვანია მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება როს გამოც სხვადასხვა არხით მიღებულ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს ყოველთვის ამუშავებს/აანალიზებს და იყენებს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. უკუკავშირის მისაღებად სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები, მშობლებთან უკუკავშირისთვის აქტიურად გამოიყენება ასევე დამრიგებლის ინსტიტუტი. ინტერვიუს დროს როგორც სკოლაში დასაქმებულებმა, ასევე მშობლებმა და მოსწავლეებმა დაადასტურეს, რომ მათ მიერ

გაცემული უკუკავშირის ნაწილი გათვალისწინებული იქნა სკოლის მიერ. უკკავშირს სკოლა ღებულობს როგორც ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, ასევე სოციალური ქსელით და პირისპირ საუბრებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი https://stnino-school.ge/index, რომელზედაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის საკონტაქტო მონაცემების შესახებ, წარმოდგენილია დაწესებულების ფილოსოფია. ვებ-გვერდი ასევე მოიცავს ინფორმაციას სკოლაში გამოყენებული სახელმძღვანელოების, აკადემიური გუნდის, ორგანიზაციული სტრუქტურისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, მათ შორის პროგრამების სახელწოდებებს, ჩარიცხვის პროცედურებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს). გარდა ამისა, ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებგვერდი;
- სოციალური ქსელი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ძირითადი შემოსავალი არის მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მათი მხრიდან გადახდილი სწავლის გადასახადი, ვაუჩერული დაფინანსება და სუბსიდია. სკოლის სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.**სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ფინანსური რესურსების მართვა ორიენტირებულია სტრატეგიული განვითარების მიზნების მიღწევასა და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერაზე. ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება მიზნობრივად, მისი შედგენისას გათვალისწინებულია მოსალოდნელი შემოსავლები, მომავალი წლის პრიორიტეტები და საჭიროებები, აგრეთვე სავარაუდო ხარჯები, რომლებიც დროშია განაწილებული. საჭიროებიდან გამომდინარე, ბიუჯეტში შესაძლებელია ცვლილებების შეტანა, რაც უზრუნველყოფს მოქნილობას და რეალურ საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესყიდვების პროცესში სკოლა ეყრდნობა წინა წლის გამოცდილებას, რაც ზრდის დაგეგმვის ეფექტიანობას. ფინანსური რესურსების მართვაში სკოლას ეხმარება წლიური ბიუჯეტის შედგენის წესი (2023 წლის 10 ნოემბრის ბრძანება სN118). სკოლა წელიწადში ერთხელ აბარებს წლიურ ფინანსურ ანგარიშს დამფუძნებელს-საპატრიარქოს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- .წლიური ბიუჯეტის შედგენის წესი;
- ბიუჯეტი;
- ფინანსური ანგარიში.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრულია, რომ კლასის დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს და მათ მშობლებს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესახებ ინფორმაციას. მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით,

რომელსაც სკოლა აცნობს მოსწავლეებსა და მშობლებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში. სკოლას შემუშავებული აქვს განცხადების/საჩივრის განხილვის წესი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო რეგულაციები, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ა.შ. დოკუმენტების შინაარსის თანახმად, სკოლა პერიოდულად ახორციელებს რეგულაციის გაზიარებას მოსწავლეებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. დოკუმენტაციის შესწავლისა და მოსწავლეთა ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლეთა უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლის მიერ მოწოდებული იქნა მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება - მოვალეობები და ა.შ. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების შინაარსით დგინდება, ის არის კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დაცვის დოკუმენტი;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის შინაგანაწესი;

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025 - 2026 სასწავლო წელი);
- მოსწავლესთან/ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. აღნიშნული წესის შინაარსის შესაბამისად განსაზღვრულია პირველ კლასში მოსწავლის რეგისტრაცია, პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა, ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა, გარდა პირველი კლასისა მოსწავლის ჩარიცხვა, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების და ჩარიცხვის პროცედურები, მოსწავლის სტატუსის შეჩერების და აღდგენის პროცედურები, მოსწავლის კლასიდან - კლასში გადაყვანა, ზოგადი განათლების სისტემის მართვა. დოკუმენტის შესწავლის თანახმად დგინდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლურ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იცავს აღნიშნული წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის განსაზღვრულ პროცედურებს. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებით ჩარიცხვაზე სკოლას მიმართა სამი მოსწავლის კანონიერმა წარმომადგენელმა. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების სამი შემთხვევა, რომელიც მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის პირადი განცხადების საფუძველზე განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის შენობაში, ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია მოსწავლის ქცევის წესები, შინაგანაწესი, ბიბლიოთეკით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით სარგებლობის წესები, გაკვეთილების ცხრილი და სხვა ინფორმაცია. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სკოლაში არსებული კლუბების, პროგრამების, სერვისების შესახებ ინფორმაცია. ასევე განთავსებულია სკოლაში არსებული ქცევის წესები, საგაკვეთილო ცხრილი და სხვა ინფორმაცია. მოსწავლეებმა, მოსწავლეთა მშობლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად აწვდის ინფორმაციას სკოლაში არსებული დამატებითი მომსახურების შესახებ, კლასის დამრიგებელი აქტიურად არის ჩართული ინფორმაციის მიწოდების პროცესში. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს მართმადიდებლური სახელობის მართმადიდებლური სკოლის შინაგანაწესი;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი;

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლურ სკოლას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებული და სკოლის აღმასრულებელი დირექტორის 2023 წლის 13 ნოემბრის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის წესი, რომლის შესაბამისად განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, პროცესები, მხარდაჭერის ფორმები, პირველკლასელთა ტრანზიციის, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის და ინკლუზიური გარემოს შექმნის მექანიზმები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი, რაც მოსწავლეთა შორის კონფლიქტების ეფექტიან მოგვარებას და პრევენციას გულისხმობს. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმის დოკუმენტით დგინდება, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღებიდან სკოლის საშუალო საფეხურის დაძლევამდე სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. დოკუმენტის შესაბამისად სკოლა, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, მოსწავლის ადაპტაციის მიზნით იყენებს ისეთ მექანიზმებს როგორიცაა სკოლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, სკოლის დათვალიერება, მშობლებთან გასაუბრება, თუ ბავშვის დედმამიშვილები დადიან სკოლაში მათი მაგალითების აღწერა. შემუშავებული მექანიზმების შესაბამისად, მოსწავლის ადაპტაციის მიზნით სკოლა იყენებს მრავალფეროვან აქტივობებს. ასევე მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლის ადაპტაციის პროცესში აქტიურად არის ჩართული კლასის დამრიგებელი, ხშირად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები/აქტივობები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლეს ხელს უწყობს ადაპტაციის სასწავლო გარემოსთან. აღნიშნული ფაქტი დაადასტურეს მოსწავლეთა მშობლებმა გასაუბრების დროს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ - ერთ ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის შექმნა. მოსწავლეებმა და მათმა კანონიერმა წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კონსულტაციის პროცესში აქტიურად არის ჩართული კლასის დამრიგებელი, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლე დამრიგებლისგან და შესაბამისი საგნის მასწავლებლისგან იღებს სათანადო კონსულტაციას, უკუკავშირს და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად. მოსწავლეებმა ასევე ისაუბრეს დამატებითი საკონსულტაცია გაკვეთილების ეფექტურობასთან დაკავშირებით. მათ აღნიშნეს, რომ სკოლა საშუალებას იძლევა, გაკვეთილების შემდეგ, მოსწავლეებს ჩაუტარდეთ დამატებითი საკონსულტაციო გაკვეთილები საჭიროების და სურვილის შემთხვევაში, რაც მოსწავლეს აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში ეხმარება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონირი წარმომადგენლი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის, მისი კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების შესახებ ინფორმაცია. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლურ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. სკოლის შინაგანაწესის თანახმად განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებების და ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია. სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრულია მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა, რომლის აქტივობებად გათვალისწინებულია მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის გაუმჯობესება, სწავლა - სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმის დახვეწა. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შინ სწავლების განხორციელების წესი. მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრულია დამატებითი სერვისების განვითარება, შიდა სასკოლო პროექტების დანერგვა და მართვა, რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: კლუბების/წრეების ფუნქციონირება და გამრავალფეროვნება; შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა/ორგანიზება. სკოლას ჰყავს თვითმმართველობა, რომლის თავმჯდომარემ გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ახორციელებენ შიდა სასკოლო ღონისძიებებსა და პროექტებს. სკოლაში ფუნქციონირებს თეატრალური კლუბი „რამპა“, „რა? სად? როდის?“ კლუბი და „წიგნის კლუბი“. სკოლა მოსწავლეებს ასევე სთავაზობს ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის წრეს. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მხრიდან ინიციატივების და იდეების შესახებ განცხადების მიღებას და მხარდაჭერას სასწავლო წლის ნებისმიერ პერიოდში. დოკუმენტაციის შესწავლითა და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე პრინციპებით. სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა შეფასების ანალიზის მიხედვით კვლევას რითაც გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა წარმატებით ძლევს სასწავლო გეგმას. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად ჩანს, რომ სკოლა აკეთებს SWOT ანალიზს და მისი შედეგების მიხედვით განსაზღვრავს გასაუმჯობესებელ საკითხებს. დოკუმენტაციის შესწავლისა და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის მმოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზი;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონირი წარმომადგენლი უფლებების დაცვის დოკუმენტი.
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, განსაზღვრულია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა. ასევე მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა ხშირად უზრუნველყოფს მოსწავლეების შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, რომლებიც საინფორმაციო შეხვედრებს ატარებენ პროფესიების და მათი მნიშვნელობის შესახებ. სკოლის ინიციატივით ამ პროცესში ჩართული არიან მოსწავლეთა მშობლები, რომლებიც საინფორმაციო შეხვედრებს მართავენ მოსწავლეებთან და უზიარებენ კარიერულ გამოცდილებას. სკოლა მოსწავლეებს ყოველწლიურად სთავაზობს სხვადასხვა პროფესიული მიმართულებით პროექტებში მონაწილეობას, რათა ისინი უკეთ გაეცნონ განსხავევული სფეროს მახასიათებლებს და წარმომადგენლებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

მოსწავლეებმა და მათმა კანონიერმა წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევის კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ხშირად იმართება

კარიერული დაგეგმვის საკითხზე სკოლის ფარგლებში შეხვედრები და სხვადასხვა ღონისძიება, სადაც მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას პროფესიების მნიშვნელობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და მოსწავლეთა სასკოლო ფორმებთან დაკავშირებით მშობლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. სკოლას აქვს SWOT ანალიზი, რომლის შინაარსის თანახმად განისაზღვრა სკოლაში არსებული დადებითი და სუსტი მხარეები. SWOT ანალიზის საფუძველზე ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლამ განსაზღვრა შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებები. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის SWOT ანალიზი;
- მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლურმა სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2024 წლის 01 თებერვალს N1/11 ბრძანებით დამტკიცებული სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური განათლების პროგრამა, რომლის შინაარსის

თანახმად განსაზღვრულია ინკლუზიური განათლება, პროგრამის მიზანი, სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვა, შესაფასებლად წარსადგენი დოკუმენტაცია, შეფასების პროცედურები, სსსმ მოსწავლის სწავლებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ისგ ჯგუფის წევრები, ისგ ფორმირების ეტაპები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება, ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის შინაარსიდან დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლის შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, რომლის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია ინკლუზიური განათლება, პროგრამის მიზანი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვა, შესაფასებლად წარსადგენი დოკუმენტაცია, შეფასების პროცედურები, სსსმ მოსწავლის სწავლებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ისგ ფორმირების ეტაპები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება, ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის მექანიზმები. სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური განათლების პროგრამა;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში ფუნქციონირებს კვების ობიექტი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მომსახურებას სასწავლო დღის განმავლობაში. I-VI კლასის მოსწავლეებისთვის კვების სერვისი გათვალისწინებულია სკოლის ღირებულებაში. სკოლას N1/17 ბრძანებით დამტკიცებული აქვს კვების ობიექტის მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შედის: 2 მოსწავლის მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ექიმი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გახანგრძლივებულ სწავლებას, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს დამატებითი მეცადინეობის, მასწავლებლის მხრიდან დამატებითი კონსულტაციის საფუძველზე გააუმჯობესონ აკადემიური შედეგები. სკოლაში ფუნქციონირებს ქართული ხალხური სიმღერისა და გამობის წრე, რომელიც ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლას დამტკიცებული აქვს წესრიგის დაცვისა და თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მიზანია სკოლის საქმიანობისთვის ხელშეწყობა და უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლის ადმინისტრაცია მორიგეობს შემუშავებული განრიგის შესაბამისად, სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც მორიგეობს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე; დოკუმენტაციის შესწავლით, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სკოლაში ვიზიტით დგინდება, რომ დამატებითი მომსახურების განხორციელების, კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში,

მომსახურება ხორციელდება დამკვიდრებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართმადიდებლური სკოლის წესრიგის დაცვისა და თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმი;
შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური** (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და ინტერესების გათვალისწინებით. მეთოდოლოგია (2023 წლის 10 ნოემბრის N117 ბრძანება) მოიცავს მოსწავლეთა ჩართულობას მათი კომპეტენციის ფარგლებში, მშობელთა ჩართულობას და ინფორმირებას, ასევე კათედრის ფარგლებში ცოდნისა და პრაქტიკის გაზიარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმი გადმოსცემს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს და საჭიროებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ნათლად ჩანს. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესი ხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არამხოლოდ ინფორმირებას და კონსულტირებას, არამედ მუდმივ თანამშრომლობას. კურიკულუმის დამტკიცება ხდება სასწავლო წლის დაწყებამდე, თუმცა წლის განმავლობაში მიმდინარეობს კურიკულუმის განვითარების და რევიზიის პროცესი, რომლის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები განსაზღვრულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების და მშობლების უკუკავშირის მიღება. შესაბამისად, კურიკულუმის გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოებისთვის როგორც ელექტრონული ფორმატით, ასევე ფიზიკურ გარემოში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან ისინი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალიწინებულ მოთხოვნებს.შუალედური სასწავლო მიზნების სახით ჩადებულია კომპლექსური ბუნების დავალების პირობები,რომლებიც გათვლილია

	თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: სასურველია კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში შენარჩუნებული იყოს ერთიანი კურიკულუმის ჩარჩო, რაც ხაზს გაუსვამდა თანამშრომლობით მუშაობას კათედრაზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრვი მეცნიერებებში შემავალი საგნების: მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა და პროექტი სამოქალაქო განათლებაში და არჩევითი საგანი კატეხიზმო, წარმოდგენილი კურიკულუმები, მოწოდებული დოკუმენტაცია შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. კურკულუმების უმრავლესობა სრულად გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგემის შესაბამისად. სადაც ყველა სავალდებულო თემა და ყველა თემაში მუშავადება შესაბამისი საგნის ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმებში გაწერილია ქვეცნებები, საკითხთა ჩამონათვალი, შემოქმედებითი დავალება და შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია სავალდებულო თემების დასახელებები შესაბამისობაში იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ სავალდებულო თემებთან. ნაწილობრივი დასახელებებია მოცემული. ასევე სამიზნე ცნებების ველში ზოგგან დაემატოს ქვეცნებებიც. თქვენს მიერ გაზიარებულ მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმში ორი საგანი გაქვთ გაერთიანებულად წარმოდგენილი: ისტორია და საქართველოს ისტორია. გაყავით ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმები და ისე წარმოადგინეთ.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დინამიკურ გზამკვლევს. დაგეგმარების პროცესში აქცენტი გაკეთებულია მოსწავლის წინარე გამოცდილებაზე, ფუნქციური კონტექსტების შექმნასა და ცოდნის სამივე კატეგორიის ინტეგრირებაზე. კურიკულუმი მიმართულია იმისკენ, რომ პედაგოგებმა სასწავლო პროცესი მოარგოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ ტემპსა და ინტერესებს, რითაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის მაქსიმალური განვითარება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ მოწოდებული საგნობრივი კურიკულუმებში (მუსიკა, ხელოვნება) წარმოდგენილია თემები, საკითხები, პროექტი, სამიზნე ცნებები, შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და მოთხოვნებს. საგნების სპეციპიკაც და შერჩეული თემები, ასევე, შემოქმედებითი დავალებების შინაარსი მოითხოვს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, რაც თავის მხრივ ავითარებს მოსწავლეთა შემოქმედებით უნარებს. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, არჩევანის უფლება, პროცესი მიმართულია ცოდნის კონსტრუირებაზე. ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლეზე და პროცესზე ორიენტირებული პროგრამა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებითა და ონლაინ ბმულებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია მითითებული დავალებების, ხოლო სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. პროექტებში, შემაჯამებელ თუ კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქოემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებითა და საჭიროებებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმებში გაწერილია ვალდებულება თუ როგორ აღიწერება მოსწავლის განვითარების გზა და რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება მათი სწავლა-სწავლება, რა აქტივობები უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესში, რა დამატებით საქმიანობას სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს, რომ მიღწეულ იქნას დასახული მიზანი. ამ პრინციპებზე და მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით შემუშავებულია მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები,

	რომლებიც ეყრდნობა მათემატიკის საგნობრივ სტანდარტს და მიმართულია სტანდარტით მოცემული შედეგების მიღწევაზე. რითაც შესაძლებელი ვთქვათ, რომ კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესიის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. კურიკულუმებში წარმოდგენილია დავალების იდეა, რომლებიც შუალედური მიზანზე გასვლით, ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით, ყოველივე ზემოთ თქმული ადასტურებს, რომ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იგივე დაადასტურეს გასაუბრების დროს კათედრის წევრებმა და გამოხატეს მზაობა, რომ კურიკულუმების შემუშავებას ანალოგიური მოთხოვნების შესაბამისად შეიმუშავებენ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ცოდნის შეძენაზე არამედ საჭირო უნარების გამომუშავებასა და ცოდნის ტრანსფერზე. გათვალისწინებულია ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებას. დავალებები ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი

	რესურსების გამოყენება, მაგ. ინტერნეტ რესურსები, გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი აკმაყოფილებს ეროვნულ სასწავლო გეგმის მიზნებს და მის მოთხოვნებს. მოსწავლეს საგნობრივ ცოდნასთან ერთად უვითარებს ფუნქციურ კომპონენტურ უნარებს.სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია სავალდებულო თემები,სამიზნე ცნებები და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნე,რომლებიც საჭიროებს მცირეოდენ დახვეწას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია თითოეულ თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება შეძლებისდაგვარად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას .კურიკულუმი მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. კურიკულუმში გაწერილი შუალედური მიზნები იძლევა შესაძლებლობას შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის. სკოლამ ვიზიტის შემდეგ წარმოადგინა დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, მაგალითად: სხვადასხვა საგანში შემოქმედებითი დავალების პირობა, მოსწავლის მიერ შექმნილი პროდუქტების ამსახველი ფოტო-მასალები და შეფასების რუბრიკები. მოცემულმა მტკიცებულებებმა კიდევ უფრო ცხადყო თუ როგორ ახერხებს მასწავლებელი მოკლევადიანი, საშუალო ვადიანი და გრძელვადიანი მიზნების დაკავშირებას. **აღნიშნული ინდიკატორი სამივე საფეხურის ფარგლებში დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	სასკოლო კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ იგი ვალიდურია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან მიმართებით. სკოლის მიერ შერჩეული თემები და აქტივობები ემსახურება მოსწავლის მიერ საფეხურებრივი შედეგების მიღწევას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიის (რა ვიცი, როგორ შევასრულო და როდის გამოვიყენო) გააქტიურებაზე, რაც სრულ შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფილოსოფიასთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმებში, შემოქმედებითი დავალებების ნიმუშებში, შეფასების ინსტრუმენტებში და მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებში ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სტანდარტის შედეგების და სამიზნე ცნება/ქვეცნებების როლი სასწავლო პროცესში გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. თემატურ კონტექსტებში სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების დამუშავება ემსახურება მოსწავლეში საგნობრივი კომპეტენციებისა და გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება,თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა) ჩამოყალიბებას. ამდენად, ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო ეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად ხორციელდება. **რჩევა:** სასურველია, კათედრამ დაწყებითი და საბაზო საფეხურზე, ხელოვნების საგანში უკეთესად გაიაზროს თემატური ბლოკისა და სასწავლო თემის მნიშვნელობა და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაამატოს თემატური ბლოკების სახელწოდებები: **დაწყებით საფეხურზე-** მე და გარესამყარო; ადამიანები და ხელოვნება; ხელოვნება ჩვენ გარშემო. **საბაზო საფეხურზე** -გარემო და ხელოვნება; ადამიანი ხელოვნებაში; საზოგადოება და ხელოვნება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში, პირობის შინაარსთან და კონტექსტმაგალითებთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას. სახელმწიფო ენის

	მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით, მათემატიკის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. შემოქმედებითი დავალების იდეა, უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე გასვლას, რა გვაძლევს იმის საფუძველს რომ დავასკვნათ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებისაკენ. იგივე დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში ნათლად ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები: საგნობრივი სამიზნე ცნებები, დაკონკრეტებულია სასწავლო თემები და საკითხები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება იმ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა. მოსწავლეებს ეძლევათ პრაქტიკული დავალება სადაც პროდუქტია შესაქმენლი, ეს კი მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში ეხმარება და აძლევს საშუალებას იაზროვნონ თავისუფლად, შეზღუდვების გარეშე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

	რჩევა: ბუნებისმეტყველების მე-3 და მე-4 კლასის და 1-4 კლასის მათემატიკის კურიკულუმებში დამუშავდეს სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და ცნებები.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფის მიმართულებით საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში ჩაშენებულ რესურსებში ჩანს როგორც გრიფირებული სახელმძღვანელო, ასევე ონლაინ რესურსები, რომელსაც, როგორც გასაუბრებისას გაირკვა აქტიურად იყენებენ პედაგოგები სწავლების პროცესში და საშინაო დავალებებში.რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია ლაბორატორია შეივსოს ახალი რეაქტივებით და სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისთვის საჭირო რესურსებით. სასურველია სასწავლო წლის დასაწყისში საბუნებისმეტყველო კათედრამ შექმნას დამატებითი სასწავლო რესურსების ნუსხა კლასების და თემების მიხედვით რომელიც იქნება დამტკიცებული კათედრის სხდომაზე სავალდებულო (სახელმძღვანელოები) რესურსებთან ერთად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ძირითად საგანმანათლებლო რესურსად კათედრას არჩეული აქვს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ასევე პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან ინტერნეტ საგანმანათლებლო რესურსებს, აუდიო და ვიდეო მასალებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მისაღწევ შედეგებთან. კათედრის წევრებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა თანამშრომლობს ორგანიზაცია English Book Education-თან და ინგლისურ

	ენაში სწავლება მიმდინარეობს უცხო ენების **ცოდნის** საერთო **ევროპული ჩარჩოს** (CEFR) შესაბამისი სახელმძღვანელოებით სამინისტროს ნებართვის საფუძველზე. აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის დამხმარე რესურსი (ვიზუალური მასალა, ტექნოლოგიური პლატფორმები, რეალური კონტექსტის მქონე ნივთები), რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. რესურსების შერჩევისას დაცულია თანმიმდევრულობა – ისინი ეხმარებიან მოსწავლეს კომპლექსური შინაარსის დავალებების ეტაპების გადალახვასა და საბოლოო პროდუქტის შექმნაში, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას წარმოდგენილი აქვს ოქმი ძირითადი და დამატებითი საგანმანათლებმო რესურსის განხილვისა და ვალიდაციის შესახებ, ასევე, დოკუმენტები (დანართი-2,3) - ძირითადი და დამატებითი რესურსების ჩამონათვალი, რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ, ესთეტიკური აღზრდის საგნებში შერჩეული სახელმძღვანელოები, დამატებითი სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსი (ტელესკოლა, სხვადასხვა ვიდეო თუ აუდიო რესურსი) არის საინტერესო, მრავალფეროვანი, მიზანმიმართული, პასუხობს საგანმანათლებლო მიზნებს, იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმებში გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები. სახელმძღვანელოს ტექსტების პარალელურად დამატებით ტექსტებთან ერთად მოცემულია ელექტრონული ბმულებიც. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში რესურსებად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინტერაქციული რესურსები. საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში რესურსებში ასახულია პარალელური ტექსტები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები მწერლებისა და პოეტების შესახებ, ინტერაქციული მულტიმედიური სავარჯიშოები, სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ძირითად ტექსტებთან ერთად მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები მართლაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია მათემატიკის სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსი, როგორიცაა ძირითადი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და დამხმარე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმაც გასაუბრების დროს გამოხატეს მზაობა სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენონ მრავალფეროვანი რესურსი კურიკულუმით განსაზღრულ მიზნების მიღწევის მიზნით, მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმში წარმოდგენილია ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისკენ. რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, რაც იძლევა საშუალებას სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** ***რჩევა:*** სასურველია I-IV კლასებში სასწავლო პროცესი წარიმართოს 2023 წელს გამოშვებული გრიფირებული სახელმძრვანელოებით.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესებზე და ხელს უწყობს მრავალმხრივ განვითარებას, შერჩეულია შედეგების მიღწევისათვის საჭირო შესაფერისი ინსტრუმენტები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების კურიკულუმებში გათვალისწინებული სასწავლო რესურსები, ძირითადი სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალა ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილია ელექტრონული რესურსების ბმულებიც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრაზე საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომებით, უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები, რომლებმაც წარმოაჩინა რომ შესაბამისობაშია სასწავლო პროცესი კურიკულუმთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუს საფუძველზე, გავეცანი რა შემოქმედებითი დავალების ნიმუშებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს, დავასკვენი, რომ კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები ითავალისწინებს და უზრუნველყოფს ინკლუზიურ და დიფერენცირებული მიდგომებით სწავლებას, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში მათი ინტელექტულაური თუ გონებრივი ინდივიდუალიზმის მიუხედავად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმი იძლევა შესაძლებლობას, მასწავლებელმა მოახდინოს სასწავლო აქტივობებისა და რესურსების მოდიფიცირება მოსწავლეთა მზაობის, ინტერესებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებით.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში შერჩეული თემები, საკითხები და შემოქმედებითი დავალებების შინაარსი და თავად საგნის სპეციფიკა ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე, მასწავლებლები ცდილობენ გამოიყენონ სხვადასხვა მეთოდი, მიდგომა, სტრატეგია, ეძებენ პრობლემათა გადაჭრის გზებს. საჭიროების შემთხვევაში, სკოლაში იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო კურიკულუმსა და შესრულებულ დავალების ბარათებში ჩანს დიფერენცირებული სწავლებისათვის საჭირო რესურსები, აქტივობები და დავალებები. მასწავლებელთა რეფლექსიიდან და ურიერთდასწრების შეხვედრის ოქმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დიფერენცირებილი მიდგომებით დაგეგმვა და ამ მიდგომების გამოყენება ხდება სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუსას მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, სწავლობენ და მოსწავლის ნამუშევარზე დაკვირვება–ანალიზის გზით ითვალისწინებენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნებს, უკვე არსებულ გამოცდილებებს. ამ პირობების გათვალისწინებით ახორციელებენ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სწავლა-სწავლების პროცესში ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. თუ როგორ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს და როგორ ახორციელებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას. დავალებებსაც მათი შესაძლებლობის ფარგლებში

	მოდიფიცირებას უკეთებენ, მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვითა გათვლილი დავალების პირობებიც. ახდენენ მოსწავლეთა შემოწმება შეფასებას, აწარმოებენ დაკვირვებას შესაბამის მოსწავლეებზე, შესაბამისად აძლევენ მათ კონსტრუქციულ უკუკავშირს. კვლავაც ასეთი შემართებით გავაგრძელებთ მუშაობას, დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით, გამოხატეს მზაობა კათედრის წევრებმა, რათა სწავლა- სწავლების პროცესი სკოლაში იყოს დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით ინკლუზიური. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები ინტერვიუს მსვლელობის დროს. მასწავლებლები არეგულირებენ დატვირთვის მოცულობას და ინტენსივობას მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობიდან გამომდინარე. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსმ მოსწავლე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, რომელთანაც საჭირო იქნება მუშაობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში იკვეთება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ცდილობს გამოიყენოს დიფერენცირებული სწავლების ელემენტები. მოსწავლეებს სთავაზობს მის საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული დავალებებს, ყოველთვის ახდენს დავალების მოდიფიცირებას და ადაპტირებას საჭიროებიდან გამომდინარე და მათ შესასრულებლად აძლევს შესაბამისის დავლებს და დროს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში მიმართავენ პროცესის და დავალებების დიფერენცირებას, მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტების არჩევანს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. წარმოდგენილია დავალების ბარათები დიფერენცირებული აქტივობებით, რესურსებით. მაგ: მე-2 კლასის ქართული (კომიქსის შექმნა "ფუტკარი და ჭიანჭველას" მიხედვით), მე-4 კლასის ბუნებისმეტყველება (წითელი წიგნის შექმნა).

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრას წარმოდგენილი აქვს მათ მიერ შუმუშავებული სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების ცხრილები, როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის წარმოდგენილი ცხრილები არის ზოგადი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: სასურველია შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება. ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც. სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლის პროცესში მასწავლებლები იყენებენ როგორც გამსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებებს. პედაგოგებმა საგნების მიხედვით წარმოადგინეს მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ფარგლებში შუალედური მიზნების შეფასების რუბრიკები,(განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც) რომლებიც ეროვნული სასწავლო მიზნის შედეგებზე და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლის შესაძლებლობას გვაძლევს. მოცემული რუბრიკები სკოლაში მასწავლებლების მიერაა შედგენილი, რაშიც კიდევ ერთხელ დამარწმუნა გასაუბრების დროს მასწავლებლებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები კონკრეტულია და მოიცავს საგნის ფარგლებში სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთან. შეფასების პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შემოწმებაზე, არამედ მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრების დონეების განსაზღვრაზე. სკოლაში დანერგილია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია შეფასების ვალიდურობა კომპლექსური შინაარსის დავალებებთან მიმართებით – შეფასების კრიტერიუმები პირდაპირ გამომდინარეობს სასწავლო მიზნებიდან, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური წინსვლისა და განვითარების დინამიკის ასახვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები, საკითხე, სამიზნე ცნებები, შუალედური მიზნები და სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები, შემოქმედებითი დავალებები და მათი შეფასების სისტემა ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, ამოცანებს. ამას მოწმობს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კათედრა ცდილობს შეფასების კრიტერიუმები წარმოაჩენდეს სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში, თუმცა, სასურველია ამ მხრივ კათედრამ გააღრმავოს მუშაობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, უფრო მეტად გამახვილდეს ყურადღება თემა/საკითხსა და სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების შექმნაზე, განსაკუთრებით, ეს ეხება შემაჯამებელი დავალებების შეფასების სისტემას. ასევე, სასურველია, შემაჯამებელი დავალებების შერჩევისას მეტად მოხდეს თემატური კონტექსტების გათვალისწინება.
სახელმწიფო ენა	მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სახელმწიფო ენის სწავლებისას სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა რუბრიკა საფეხურების მიხედვით: საკლასო და საშინაო დავალების შეფასების რუბრიკები, სადიაგნოსტიკო ტესტები, შემაჯამებელი წერების ანალიზები, მასწავლებლის დაკვირვების სქემა, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების სახით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, რომლებში ეყრდნობა მათემატიკის საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებზე. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლეთა შეფასებას, რომ შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი პროცესი. განმავითარებელი კომენტარით აღვწერთ, მოსწავლეთა განვითარების დინამიკას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასებით საგნობრივი სტანდარტის შედეგის მიღწევის დონეს. შეფასების პროცესში მოსწავლეებს ვაძლევთ კონსტრუქციულ უკუკავშირს, სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას და გამოხატეს მზაობა, მომავალშიც შეფასების სისტემა დაეფუძნება ესგ-ის მოთხოვნებს და შემუშავდება მოსწავლის შეფასების პრინციპების, მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით ესგ-ის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ფასდება როგროც ზოგადი მოტორული უნარებისა და ფიზიკური თვისებების განვითარების დონე, ასევე, მოსწავლეების ჩართულობა სასწავლო პროცესში. შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების ხელშეწყობაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული სისტემა ემყარება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, განვითარების პრინციპს და მიზნად ისახავს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას, პიროვნული ზრდის ხელშეწყობას და მოსწავლის განვითარებაზე მუდმივ ზრუნვას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც ადასტურებს, რომ შეფასების პროცესი ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებზე. შესაბამისად სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს. შეფასების სისტემა არის ვალიდური და ობიექტური. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კლასებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ ზოგადი და კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაიგნოსტიკო წერების ანალიზი, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

- მათემატიკა კურიკულუმები დაწყებითი / საბაზო / საშუალო;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები I-V კლასი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები VII-IX კლასი;
- მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრა;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები;
- 2025-2026 სასწავლო წლის ვერიფიკაციის დოკუმენტაცია;
- შემოქმედებითი დავალების პირობა, მოსწავლის შესრულებული დავალებით, თავისი შეფასების რუბრიკით დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე;
- დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- საშუალო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სპეციალური პროგრამა.docx;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი.docx;
- მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმები;
- პროექტული სწავლების კურიკულუმები და პროექტზე მუშაობის ეტაპები (მუსიკა,ხელოვნება);
- შეფასების რუბრიკები (მუსიკა, ხელოვნება);
- შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით;
- შემაჯამებელი დავალებები, ანალიზი და შეფასების რუბრიკები(მუსიკა, ხელოვნება);
- მოსწავლეთა ნამუშევრები (ნუსიკა, ხელოვნება);
- ესთეტიკის კათედრის ოქმი;
- ისგ ფორმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომებით, უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი მომდინარეობს დიფერენცირებული მიდგომებით. გათალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

	რჩევა: სასურველია კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული რეალური და დაძლევადი, ყოველივე ეს გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემავალი ყველა საგნის სწავლება ეფუძვნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი (საგნობრივი სტანდარტები, შეფასების რუბრიკები და მოსწავლის ნამუშევარი თავისი შეფასებით) ითვალისწინებს სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულ შინაარს, რომელშიც მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ კიდევ უკეთ დავრწმუნდი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელსაც კათედრაზე ერთობლივად აყალიბებენ პედაგოგები. შესწავლილი კურიკულუმები, მოსწავლეთა ნამუშევრები და პედაგოგებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ მასწავლებლები მიყვებიან კურიკულუმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგაკვეთილო აქტივობები ლოგიკურადაა დაკავშირებული საკვანძო კითხვებთან და ორიენტირებულია კომპლექსური შინაარსის დავალებების შესრულებაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაგეგმვა არ არის ფორმალური; სკოლა იყენებს კურიკულუმს, როგორც სამუშაო დოკუმენტს, რაც საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესი იყოს თანმიმდევრული, პროგნოზირებადი და ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის ამსახველი მასალა-კომპლექსურ-შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით, სავალდებულო პროექტული სწავლების კურიკულუმები, შემაჯამებელი დავალებები და მათი შეფასების რუბრიკა, მოსწავლეთა ნამუშევრები, ყოველივე მოწმობს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესის წარმატებულ დაგეგმვას ხელს უწყობს საინტერესო შემოქმედებითი აქტივობები, სასწავლო საგანმანათლებლო რესურსის სწორად შერჩევა, რაც მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების საწინდარია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია შემოქმედებითი ტიპის დავალებების სახით. სწავლის შედეგები მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. კურიკულუმში ჩაშენებული დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას და განმტკიცებულია დამატებითი ელექტრონული მბულებით. შემაჯამებელ სამუშაოებში, პროექტებში, შემოქმედებით პროდუქტსა და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქოემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ამის მაგალითია სამივე საფეხურზე განხორციელებული შუალედური მიზნების უზრუნველყოფისათვის შემოქმედებითი პროდუქტები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება ესგ-ის მათემატიკის საგნობრივ სტანდარტზე დაფუძნებით გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირით შემუშავებულ და დამტკიცებული კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესში მუშავდება სამიზნე ცნება და სტანდარტის შედეგები. კურიკულუმში გაწერილი აქტივობები, შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელებაც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით და კურიკულუმის შესაბამისად, აღნიშნეს კათედრის წევრებმა საუბრისას და გამოხატეს მზაობა რომ სასწავლო პროცესს მომავალშიც კურიკულუმების შესამაბისად წარმართავენ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში სასწავლო პროცესი ორგანიზებულია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, რაც დასტურდება როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, ასევე მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგებით. სკოლაში სისტემატურად ტარდება შიდა სასკოლო ფესტივალები, ხორციელდება პროექტული

	სწავლება (სკოლამ წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, მასწავლებლებმა იმუშავეს დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულებაზე. ამის დასტურად, წარმოადგენილია რესურსები, რომელიც განაპირობებს დაგეგმილის მიხედვით სასწავლო პროცესის განხორციელებას. ასევე, იმ შემოქმედებითი დავალების ნიმუშები, რომელთა განხორციელებაც კურიკულუმებშია გაწერილი. სადაც ყველა აქტივობა, გაკვეთილი და შეფასება დაგეგმილია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმის მოთხოვნების შესრულება და მოსწავლეების მრავალმხრივი განვითარება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, წარმოდგენილია თემები, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, განსაზღვრულია შუალედური მიზნები, მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ შუალედური მიზნების განსაზღვრისას იხელმძღვანელეს სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სკოლის მიერ შემუშავებული ანალიზი SWOT აჩვენებს, რომ გააზრებული აქვთ სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები და დანახული აქვთ როგორც შესაძლებლობები, ისე საფრთხეები

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ზომავს საგნის სტანდარტის შედეგებს. პედაგოგებმა აღნიშნეს,

	რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს. სასწავლო პროცესში ხშირად მიმართავენ მოსწავლეთა თვითშეფასებასაც. წარმოდგენილი შეფასებების რუბრიკები ასახავს აქტივობის შინაარსს, მიზნებს, კრიტერიუმებს ქულებთან ერთად, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. მასწავლებლებმა საუბრისას გამოთქვეს მზაობა, რომ საკუთარი გამოცდილების გაანალიზების შედეგად კიდევ უფრო გააუმჯობესებენ შეფასების სისტემას, შემუშავებული ექნებათ შეფასების კრიტერიუმების შესაბამისი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა**: კარგი იქნება თუ შეფასების სისტემის ვალიდურობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებენ უფრო კონკრეტულ, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს. ასევე სასურველია შემუშავდეს შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის გაცნობის მექანიზმი. მოსწავლეებს წინასწარ მიაწოდონ დავალების პირობა, მიზანი და შეფასების კრიტერიუმები. კათედრის წევრებმა მოლოდინების შესაბამისად გააანალიზონ მოსწავლეთა ნამუშევრები შუალედურ მიზნებთან მიმართებით და მიაწოდონ უკუკავშირი კათედრაზე შეთანხმებული ფორმითა და ფორმატით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულიად პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს. სწავლის პროცესში მასწავლებლები იყენებენ როგორც გამსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებებს. პედაგოგებმა საგნების მიხედვით წარმოადგინეს მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ფარგლებში შუალედური მიზნების შეფასების რუბრიკები, (განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც) ასევე სადიაგნოსტიკო ტესტები და შემაჯამებელი წერის ანალიზის ნიმუშები, რომლებიც ეროვნული სასწავლო მიზნის შედეგებზე და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლის შესაძლებლობას გვაძლევს. მოცემული რუბრიკები სკოლაში მასწავლებლების მიერაა შედგენილი, რაშიც კიდევ ერთხელ დამარწმუნა გასაუბრების დროს მასწავლებლებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები კონკრეტულია და მოიცავს საგნის ფარგლებში სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სასურველია სამივე საფეხურზე:კურიკულუმში შეფასების კრიტერიუმები მკვეთრად ფოკუსირებული იყოს თემაზე/საკითხზე. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხუზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ვალიდურობისა და ობიექტურობის კრიტერიუმებს. შესწავლილი დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ შეფასების კრიტერიუმები პირდაპირ გამომდინარეობს

	ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებებიდან და მკვიდრი წარმოდგენებიდან, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას. პროცესი არის გამჭვირვალე, რადგან მოსწავლეებს აცნობენ შეფასების რუბრიკებს, სადაც დეტალურადაა აღწერილი მოლოდინები. სამართლიანობა დაცულია დიფერენცირებული შეფასების მიდგომებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით დაგეგმილ მოთხოვნებს. კათედრის მიერ მოწიდებული რუბრიკები და კრიტერიუმების შინაარსობრივი მხარე პასუხობს ვალიდური და სანდო შეფასების მოთხოვნებს. მოსწავლეებმა იციან, თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება მათი ცოდნა. ყველა კრიტერიუმს ახლავს თავისი მიღწევის დონეები, რაც თვალსაჩინოს ხდის მიღებული შედეგის ობიექტურობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სახელმწიფო ენის კათედრა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ჰოლისტურ რუბრიკებს. შეფასების რუბრიკების შედგენის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ შემდეგს: რისთვის ვაფასებთ (შეფასების მიზანი), რას ვაფასებთ (შეფასების საგანი), როგორ ვაფასებთ (შეფასების ხერხები), ვის ვაფასებთ (შეფასების ობიექტი), როდის ვაფასებთ (რა სიხშირით და რა ვადებში) და როგორ ვიყენებთ შეფასების შედეგებს (მონაცემთა ანალიზი). ობიექტურობის დაცვის მიზნით მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისშივე აცნობენ შეფასების რუბრიკებს, თუ რა კრიტერიუმით შეფასდებიან კონკრეტულ სიტუაციაში. შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობის გაცნობა თავისთავად მოიაზრებს, რომ მოსწავლემ საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად რა კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს, აქედან გამომდინარე, მოსწავლეებს გააზრებული აქვთ დადებითად რომ შეფასდნენ, რა და როგორ უნდა გააკეთონ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, როგორც განმავითაებელი ასევე განმსაზღვრელი. წარმოდგენილი რუბრიკები შეესაბამება მათემატიკის საგნობრივ სტანდარტებში მიღწევის ინდიკატორებს, რაც ადასტურებს მის ვალიდურობას. სანდოა, რადგან გასაზომი კრიტერიუმებია წარმოდგენილი, სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები, რაც აღნიშნეს და დაადასტურეს

	კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. იგივეს ადასტურებს წარმოდგენილი რუბრიკებიც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	შეფასების სისტემა ემყარება ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან პრინციპებს. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება სამიზნე ცნებებს და კონკრეტულ თემებს. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური. სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი- განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი რუბრიკები. წარმოდგენილი შეფასების ფორმები უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ შესაძლებლობებს და ასახავს მათ მიღწევებსა და პროგრესს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლა-სწავლების პროცესში სკოლას გამოყენებული აქვს შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი, წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის აღმასრულებელი დირექტორის 2023 წლის 16 ნოემბრის ბრძანება N123-ით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებს. სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციასა და მტკიცებულებების ვერიფიკაციას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ინფორმაცია/მტკიცებულებები აღრიცხულია სათანადოდ და სკოლა უზრუნველყოფს მათ არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი (დამტკიცებულია 16.11.2023);
- საშუალო და საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ნამუშევრები.
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები I-V კლასი;
- მათემატიკის კურიკულუმები დაწყებითი / საბაზო / საშუალო საფეხური;
- შემოქმედებითი დავალების პირობა, მოსწავლის შესრულებული დავალებით, თავისი შეფასების რუბრიკით დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე;
- დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- საშუალო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სპეციალური პროგრამა;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი (დამტიკეცუბია 20.11.2023)
- მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმები;
- პროექტული სწავლების კურიკულუმები და პროექტზე მუშაობის ეტაპები (მუსიკა,ხელოვნება);
- შეფასების რუბრიკები (მუსიკა, ხელოვნება);
- შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით (მუსიკა, ხელოვნება);
- შემაჯამებელი დავალებები (მუსიკა, ხელოვნება);
- მოსწავლეთა ნამუშევრები (მუსიკა, ხელოვნება);

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგანში (ბუნებისმეტყველება ქიმია ბიოლოგია ფიზიკა) კურიკულუმები შემუშავებულია გრფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ბმულები მოცემულია კურიკულუმებში). რაც შეეხება სწავლის პროცესში გამოყენებულ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსს საგნობრივი კურიკულუმიდან გამომდინარე მიზნობრივად ჰქონდათ წარმოდგენილი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებიდა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად შევიტყვე, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მრავალფეროვან საგანმანათლებლო დამატებით სახელმძღვანელოებს, რუკებს და ინტერნეტ რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნა სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე და ინტერვიურების დროს დასტურდება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები აქტიურად და მიზნობრივად გამოიყენება. მასწავლებლები ეფექტურად ახდენენ სახელმძღვანელოების კომბინირებას დამხმარე ციფრულ და ვიზუალურ მასალებთან, რაც სწავლის პროცესს უფრო დინამიკურსა და საინტერესოს ხდის. სკოლის მატერიალური ბაზა არის ჩართული კურიკულუმის იმპლემენტაციის პროცესში, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასკოლო სასწავლო გეგმაში კლასების და საგნების მიხედვით მითითებულია ძირითადი სასწავლო რესურსი, ასევე, დანართების სახით სკოლამ წარმოადგინა გრიფირებული სახელმძღვანელოების და დამხმარე სასწავლო რესურსის (ბმულების სახით) ჩამონათვალი. კურიკულუმში მითითებული სასწავლო რესურსი აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რასაც მოწმობს სკოლის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები. ხელოვნების საგანში ინტენსიურად

	გამოიყენება ტელესკოლის გაკვეთილები, მუსიკის საგანში მოცემულია აქტივობების და შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები, აუდიო და ვიდეო რესურსთან ერთად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. შემოქმედებითი დავალების პროდუქტის შესაქმნელად მასწავლებლის მიერ გამოყენებულია დამატებითი ტექსტები, ვიდეომასალა, პლაკატები, სქემები, ვიზუალური მასალა. დაწყებით საფეხურზე რესურსებად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინტერაქციული რესურსები. საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კი დამხმარე რესურსებად მოცემულია მხატვრული ტექსტები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები მწერლებისა და პოეტების შესახებ, ინტერაქციული მულტიმედიური სავარჯიშოები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში თითოეული სასწავლო თემის დამუშავების პროცესში გაწერილი სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი მრავაფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები, ძირითადად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, აგრეთვე იყენებენ სხვადასხვა სასწავლო პლათფორმებსაც, რაც დაადასტურა კიდეც კათედრის წევრმა გასაუბრების დროს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი რესურსები, რომლების ასახულია კურუკულუმშიც. დახმარე რესურსების გამოყენება (როგორიცაა, გზამკვლევები სპორტის სხვადდასხვა სახეობაში, ოლიმპიური თამაშების დამატებითი სახელმძვანელო, ლაშქრობის ინსტრუქციები და სხვ.) ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და სიღრმისეული ცოდნის მიღებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან სასწვლო და დამხმარე რესურსებს, ქმნის საინტერსეო გარემოს სწავლის პროცესში და მოსწავლეებს სთავაზობს უნარებსა და

	შესაძლებლობებზე მორგებულ დავალებებს, რათა საგაკვეთილო პროცესი იყოს ხალისიანი, სადაც მოსწავლეები მაქსიმალურად იქნებიან ჩართული სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც მორგებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბაზო საფეხურზე ხდება სასწავლო პროცესში კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსების (სახელმძღვანელო, სამუშაო რვეულები) და დამხმარე რესურსების გამოყენება. ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე აქტიურად გამოიყენება უსაფრთხო სადემონსტრაციო ექსპერიმენტები და ასევე აქტიურად იყენებენ დამხმარე რესურსად ვიდეორესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო რესურების ვალიდაციის უზრუნველყოფა ნათლად ჩანს წარმოდგენილ დოკუმტებში. მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ და კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დავასკვნი, რომ რესურსები განხილულია და შექმნილია კათედრაზე. რადგან იკვეთება საგნობრივი კავშირები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	შესწავლილი კათედრის ოქმები და კათედრის წევრებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ რესურსების შერჩევისას ხდება მათი შეფასება რამდენიმე კრიტერიუმით: თავსებადობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან, ასაკობრივი შესაბამისობა და ინკლუზიურობა. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში ვალიდური და მოსწავლის განვითარებაზე

	ორიენტირებული დამხმარე მასალები იქნას გამოყენებული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლამ წარმოადგინა კათედრის ოქმი სასწავლო რესურსის ვალიდაციის შესახებ. სასწავლო პროცესში გამოიყენება დამხმარე რესურსი (ტელესკოლის ვიდეო გაკვეთილები, აუდიო და ვიდეო მუსიკალური რესურსი, ხვადასხვა თვალსაჩინოება და სხვა). კათედრაზე მოწმდება, რამდენად არის ვალიდური შერჩეული სასწავლო რესურსი, შეესაბამება თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და რამდენად შეუწყობს ხელს სასწავლო მიზნების მიღწევა-განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციისათვის სკოლაში სახელმწიფო ენის კათედრაზე თანხმდებიან, რომ რესურსი საგნობრივად და ეთიკურად მიზანშეწონილია. კათედრა თვითონ იღებს პასუხისმგებლობას, რომ შერჩეული რესურსები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მისი მიზნების მიღწევას უწყობს ხელს, არის ასაკისათვის შესაფერისი, არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან მიკერძოებულ შინაარს და ითვალისწინებს მოსწავლის განვითარების დონესა და ინტერესებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას განახორციელებენ კათედრაზე. მსჯელობენ და აკეთებენ დასკვნებს ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, დაეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და დააკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს და შესაბამისად შეარჩევენ რესურსებს სწავლა-სწავლების პროცესის წარმატებით განხორციელების მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნოვრივ კათედრაზე განხილვის შედეგად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	გამოყენებული რესურსები, როგორიცაა ონლაინ საიტები, საგანმანათლებლო პორტალი, ციფრული თუ დამატებითი სასწავლო რესურსები, შესაბამისია ესგ-ს სტანდარტებთან, ვალიდურია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებაზე, რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრის წევრების მიერ ერთობლივად, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალურ რესურსებს მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები და ინტერვიუს საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები (გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და თემატურად შესაბამისი ელექტრონული რესურსები) ხელს უწყობს სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** ლაბორატორია შეივსოს ახალი რეაქტივებით და სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისთვის საჭირო რესურსებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. მოსწავლეთა ნამუშევრებზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დავასკვენი, რომ კათედრას აქვს კურიკულუმით

	გათვალისწინებული მატერიალური რესურსები, რომლებიც ზედმიწევნით პასუხობს სწავლის შედეგების უზრუნველყოფას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ ისინი სრულ შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან და მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობასთან. საკლასო ოთახების აღჭურვილობა და სივრცული მოწყობა იძლევა კურიკულუმით გათვალისწინებული ინტერაქციული სწავლების მეთოდების (ჯგუფური მუშაობა, როლური თამაშები, პრეზენტაციები) შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას წარმოდგენილი აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის ამსახველი დოკუმენტი. სკოლაში წარმოებს კლუბური მუშაობის პრაქტიკა, შექმნილია ხალხური სიმღერის და საეკლესიო გალობის კლუბი, რომლის ფარგლებში სკოლა იყენებს მატერიალურ რესურსს მუსიკალური საკრავების სახით, ასვე სკოლას აქვს წარმოდგენილი ყველა ის საჭირო მატერიალური რესურსი (კომპიუტერები, პროექტორები, ხმის გამაძლიერებლები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნისთვის განკუთვნილი რესურსი), რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და აღჭურვილ საკლასო ოთახებს, დიფერენცირებულ საჭიროებებზე მორგებულ გარემოს, შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილ საკლასო ოთახებს, ძირითად და დამხმარე რესურსს. სწავლის პროცესში შედეგის მიღწევა დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა სკოლას შესაბამისი გარემო და ტექნიკური შესაძლებლობა. სახელმწიფო ენის კათედრა მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად, სახელმწიფო ენის კურიკულუმით გათვალისწინებულ აქტივობებში თითქმის ყველა თემაში გვხვდება ვიდეორგოლის, ანიმაციის ან მოკლემეტრაჟიანი ფილმის ნახვა განსახილველად. შესაბამისად, სკოლა კომპიუტერითა და

	პროექტორით უზრუნველყოფს კურიკულუმით მისაღწევი შედეგების მატერიალურ უზრუნველყოფას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და ა.შ., რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დასტურდება კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას აქვს დახურული სპორტული დარბაზი და ღია მოედანი. სკოლას გააჩნია ის მატერიალური რესურსი (სპორტული ინვენტარი), რომელიც მითითებულია კურიკულუმებში (მაგ., ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის ბურთები, ნიშნულები, ჰილა-ჰოპები, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები, ჩოგნები და სხვ.). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში გათვალისიწინებულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ყველა კომპონენტი, როგორც მატერიალური რესურსი ისე დამხმარე მასალა. სასწავლო პროცესისი სრულფასოვან წარმართვას ხელს უწყობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, სადაც სწავლა /სწავლების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფილია კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი და კურიკულუმის ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსით. რაც შეეხება დაწყებით საფეხურს, აღნიშნულ ეტაპზე მოწვეულ მასწავლებელს (ი.ბ.) აქვს 20-საათიანი დატვირთვა. მოქმედი რეგულაციების მიხედვით, მოწვეული მასწავლებლის დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 9 საათს. შესაბამისად, სკოლას საჭიროა ჰყავდეს ამავე საგნის სხვა მასწავლებელი/მასწავლებლები, რათა დაკმაყოფილდეს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები. ხარვეზი. **დაწყებით საფეხურზე სკოლას არ ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში სკოლამ გაწერა, რომ აცხადებს მზაობას ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე განახორციელოს ცვლილებები და ვაკანსიის გზით მოძებნოს „კიდევ უფრო კვალიფიციური კადრი". ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და გასცა რეკომენდაცია 10/05/2026-15/09/2026 წ. პერიოდში უზრუნველყოს შესაბამისი კადრის დასაქმება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია მეტწილად

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მათემატიკა- კურიკულუმები დაწყებითი / საბაზო / საშუალო;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები I-V კლასი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები VII-IX კლასი;
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- სახელმძღვანელოები;
- მუსიკის და ხელოვნების კურიკულუმები;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

○ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

საგნობრივი კურიკულუმების შეფასება და მონიტორინგი ხორციელდება მეთოდოლოგიის შესაბამისად. პედაგოგები კათედრის სხდომების ფარგლებში უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას, მსჯელობენ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ერთად გეგმავენ მომავალი სასწავლო წლისთვის შესატან საჭირო ცვლილებებს. მეთოდოლოგიის დოკუმენტი განსაზღვრავს მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მეთოდოლოგიის დოკუმენტი პრობლემების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა და საჭიროებების მიხედვით განსაზღვრავს პრობლემაზე რეაგირების გზებს. პრობლემის იდენტიფიცირების და დიაგნოსტირების პროცესში მნიშვნელოვანია პედაგოგების, სკოლის ადმინისტრაციისა და მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასების პროცესი მიმართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის მხარდაჭერასა და დახმარებაზე. მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრის ოქმები;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. მასწავლებლების მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების, წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრების/პროექტების შესაბამისად ნათლად ჩანს, რომ შეფასების პროცესში არაერთი წყარო არის გამოყენებული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც შეფასების პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას გულისხმობს. სკოლაში ამ ეტაპზე არ ირიცხება სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლე, თუმცა სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლეთა შეფასების წესი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მოსწავლეთა შეფასების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ სხვადასხვა ტიპის მონაცემებს. შესაბამისად, შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესი ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის და საჭიროების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს შეფასებისას მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების და სხვდასხვა გარემოების გათვალისწინებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია გადასინჯვისა და რევიზიის პროცესი, რომელიც კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან. კათედრის სხდომის ფარგლებში პედაგოგები განიხილავენ კურიკულუმის განხორციელების პროცესს, აანალიზებენ პრობლემებს, განიხილავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის გასაუმჯობესებელ საკითხებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. ახალი ინოვაციური იდეების დანერგვის, პრობლემების გადაჭრის გზების და განვლილი სასწავლი წლის გამოცდილების საფუძველზე ხორციელდება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავება. სკოლის მიერ შემუშავებული 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით სკოლა აქტიურად მუშაობს კურიკულუმის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- საგნობრივი კათედრების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი 21/05/2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: